დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. ლია ჯალაღონია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. მარინე კუჭუხიძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. მანანა გიგიბერია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. თამთა კამკამიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ნანა ჩილინგარაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. თეა ხუროშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. ირმა ხუნდაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. მანანა შეროზია- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. დომინიკა აბაშიძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ნათია ბრეგაძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	233646365

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ლანჩხუთი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა N123
საფოსტო ინდექსი	2800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/684?
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	lanchkhuti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577624525

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება-MES 1 25 0000624179 04/06/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	07 და 08 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ.N123 აქ (ერთი შენობა)
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ.N123 აქ (ერთი შენობა)
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ.N123 აქ (ერთი შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 07 და 08 ივლისს სსიპ- ქალაქ ლანჩხუთის N 1 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალები. რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. მასალების შესწავლის შემდეგ ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Google Meet) გამოყენებით.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ადგილზე ვიზიტის დროს შევისწავლეთ სკოლის ინფრასტრუქტურა მათ შორის კომპიუტერული კლასი , სპორტული ინფრასტრუქტურა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა), სკოლის ინკლუზიური გარემო, სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესებთან მიმართებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და ვიზიტის შემდეგ მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
---	---	---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ-ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლა დიდი ისტორიისა და ტრადიციების მატარებელი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც არსებობის 150 წელს ითვლის. სკოლა ამაყობს და პატივსცემს თავის ისტორიას, არ ივიწყებს თავის კურსდამავთრებულებს და სკოლის სივრცეში საპატიო ადგილსაც მიუჩენს. ასევე, როგორც საგანმანათლებლო კერა აღიარებს პედაგოგის ღვაწლს და სკოლის კედლებში ვარსკვლავს უხსნის საკუთარ მასწავლებელს. სასკოლო კულტურის ნაწილად ითვლება ტრადიციად ქცეული ღონისძიებები: ეროვნული სამოსის დღის მასშტაბური აღნიშვნა. კურსდამთავრებულთა მშობლიურ სკოლაში დახვედრის ცერემონია, მომავალი პირველკლასელების პირველი ვიზიტის აღსანიშნავი აქტივობები, სადაც მათ გადაეცემათ მედალიონი წარწერით: ,,პირველსკოლელი“.
სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას და არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით. ამ მიზნით დაწესებულება მრავალ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პროფესიულ კოლეჯთან ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ და პერიოდულად სკოლის ბაზაზე ახორციელებს პროფესიულ კურსებს (ჭრა-კერვა, კომპიუტერული ტექნოლოგიები,ბუღალტრული აღრიცხვა, ელექტროობა), რომელთა სრული კურსის გავლის შემდეგ მოსწავლეებმა მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები.
მრავალფეროვანი და საინტერესოა სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობა.
ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი ,,მნათობი” რომელიც სკოლაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა, ემსახურება მოსწავლეებში შემოქმედებითი, სააზროვნო, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ასევე მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების ხელშეწყობას. კლუბის აქტივობებიდან აღსანიშნავია: ქართველი მწერლებისა და პოეტების ბიოგრაფიებისა და ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, დედებისადმი მიძღვნილi საღამო ,,ბედნიერების 45 წუთი” , დედაენის დღის აღსანიშნავი აქტივობები, კლუბის წევრები ჟურნალისტის ამპლუაში, საუკეთესო მკითხველის გამოვლენა, კონფერენცია თემაზე: ,,მარადიული ღირებულებები”, ილიას კვირეულის აქტივობები, კაფე-საღამო სახელწოდებით ,,წამი”, რომელიც ცნობილ და ისტორიულ ქალბატონებს მიეძღვნა და სხვა. თითოეული აქტივობა ხელს უწყობს სკოლაში არაფორმალური განათლების გაღრმავებას , სასკოლო საზოგადოების დაახლოებას, თემის ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.
ისტორიის კლუბი ,,ფესვები”, რომლის ერთ-ერთი ძირეული ფუნქცია სამშობლოსადმი თავდადებული, ისტორიაში ნაკლებად ცნობილი პიროვნებების მოძიება და მათი ღვაწლის გაცნობა, ასევე აქტივობები: ,,ველის პოეტის“ და შეფიცულთა რაზმის წევრის მიხა ხელაშვილის გარდაცვალებიდან 125 წლის აღნიშვნა, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ეპიზოდებზე ვიდეორგოლების მომზადება, ქართველი თეოლოგის, ისტორიკოსისა და არქიმანდრიტის გრიგოლ ფერაძის ღვაწლი, თეატრალიზებული ღონისძიება მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. და სხვა.

უცხო ენების კლუბი „მუზა” ხელს უწყობს მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას, იმ ქვეყნების უკეთ გაცნობას, რომლის ენასაც სწავლობენ კლუბის წევრები, ისინი თარგმნიან, პოემებსა და ლექსებს კითხულობენ უცხო ენაზე და თვითონაც ქმნიან ხელოვნების პატარ-პატარა ნიმუშებს.

„ეკოCLUB-ლანჩხუთი 1”-ის მიზანია ეკოცნობიერებისა და ეკოკულტურის დონის ამაღლება. განხორციელდა არაერთი აქტივობა, მოეწყო დასუფთავებისა და გამწვანების აქციები, მოეწყო „მწვანე კალენდრის” და დედამიწის დღის აღსანიშნავი ღონისძიებები, რომელსაც თან ახლდა მოსწავლეთა ნახატების მასშტაბური გამოფენები. შეიქმნა და მოსახლეობას დაურიგდა ბუკლეტები „ ნუ მოჭრი ტოტს, რომელზეც ზიხარ”!, განხორციელდა პროექტი: **„მწვანე ოთახი, მწვანე ეზო, მწვანე სკოლა”** ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსდა პროექტი,(ბიუჯეტი 3000 ლარი,) რომლის ფარგლებში ჩატარდა „ეკოტურნირი-2025” რაიონის სხვადასხვა სკოლების ეკო კლუბების მონაწილეობით, მოეწყო შემეცნებითი ექსკურსია. პროექტი „ნავთობის ლაქა”, რომელიც შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურების კვლევის ელემენტებს შეიცავდა. ეკოლოგიური მიმართულების **პროექტი: „შეისწავლე, დაიცავი, ისიამოვნე**”, რომლის ფარგლებშიც მოხდა სკოლის მწვანე ნარგავებით გამდიდრება, კლუბი მჭიდროდ თანამშრომლობს კიურის ლაბორატორიასთან, განხორციელდა არაერთი საერთო აქტივობა STEM-სწავლების მიმართულებით.

სკოლის მოსწავლეთა გუნდი გურიის სკოლების იდეათონის გამარჯვებულია. მიღებული ფულადი ჯილდო -1000 ევრო მოხმარდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვას.

სკოლაში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია :

„ღირსეული პირველსკოლელები”, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა მეცნიერებისა და ხელოვნების მიმართულებით განსაკუთრებული წარმატების მქონე კურსდამთავრებულთა საპატიო დაფა.

პროექტი „პითაგორა და პითაგორელები”, რომლის ფარგლებში შექმნილი რესურსებით გამდიდრდა მათემატიკის კაბინეტი.

პროექტი „მოგზაურობა ცოდნის ბილიკებზე”, დაფინანსდა მუნიციპალიტეტის მიერ (3000 ლ), რომლის ფარგლებში შეძენილია მოლბერტები, სახატავი ტილოები, აკვარელები და სხვა.

პროექტი „ძველი ხეები ჩვენს ირგვლივ”, დააფინანსა კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებამ, მოეწყო ნატურიდან ხატვა , შეიქმნა პეიზაჟები, მოეწყო გამოფენა.

პროექტი „რა მინდოდა გურიაში”, მშობელთა ჩართულობით, მოეწყო გურიის სხვადასხვა კუთხის სიღრმისეული გაცნობა.

პროექტი „ლანჩხუთის განვითარების ბიზნეს-გეგმა”, რომლის ფარგლებში შეიქმნა ბიზნეს გეგმა ქალაქის იერსახის უკეთ წარმოჩენის მიზნით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 750	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდ მეორე სტანდარტს ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N. 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია, სკოლამ დროულად მოახდინოს შინაგანაწესში და მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ჩარჩენილი ძალადაკარგული საკონონმდებლო აქტების ჩასწორება.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ ( ) უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსი - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
ინდიკატორი	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების	სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა

3.4.1.6	დაცვას.	დაცვის ოფიცერი, რომლის მონაცემები რეგისტრირებული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ გვერდზე
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია კურიკულუმში განისაზღვროს ცალკეული თემის დამუშავებისთვის საჭირო საათების რაოდენობა **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საგნობრივი კურიკულუმები იყოს ერთი სტრუქტურის და ამასთან ერთად გამორჩენილი გრაფები შეივსოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით,ასევე სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში ასახული შემოქმედებითი დავალების ეტაპებაბად ჩაშლილი დოკუმენტი გამომდინარეობდეს ჩარჩოში მოცემული დავალებებიდან. **უცხოური ენები:** უცხოური ენის კათედრამ (ოთხივე უცხოური ენისთვის ყველა საფეხურზე/კლასში) შეიმუშოვოს და წარმოადგინოს საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტაცია / კურიკულუმის ჩარჩო, რომლებშიც ყველა თემის ფარგლებში დამუშავდება თითოეული საფეხურთვის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება/გრძელვადიანი მიზნებ იმგვარ დავალებებში, რომლებითაც მოხდება მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) რეალიზება.

ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**უცხოური ენები:** უცხოური ენების კათედრის მიერ , მნიშვნელოვანია, **ყველა საფეხურზე,** თითოეულ კლასთან შემუშავდეს წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტაცია, რომლებიც ზუსტად ასახავენ მჭიდრო კორელაციას საგნობრივ პროგრამასა და ამა თუ იმ უცხოური ენის სგანობრივ სტანდარტს შორის. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველის, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (1-4კლ) საგნობრივი კურიულუმების ყველა საჭირო ველი სრულყოფილად შეივსოს.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო: სასურველია წყლის ნიჟარა იყოს არა კერამიკის, არამედ მეტალის, რათა თავიდან ავიცილოთ მინის ჭურჭლის მსხვრევის პრობლემა(უსაფრთხოების დაცვის მიზნით) და უფრო დიდი ზომის. ასევე ქიმიური რეაქტივების შესანახი კარადა იყოს მეტალის კარკასის. უცხოური ენები: უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტებში/კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში, გადამოწმდეს დამატებით რესურსად წარმოდგენილი ბმულების რელევანტურობა დაგეგმილ სასწავლო პროგრამასთან და ასევე, გადამოწმდეს ყველა ბმული აქტიურია თუ არა. ტექნოლოგიები: უცხოენოვანი რესურსების გამოყენებისას გაითვალისწინეთ მოსწავლეთა სხვადასხვა უცხოენის ცოდნის დონე. საჭიროების შემთხვევაში მიაწოდეთ შესაბამისი ქართული თარგმანი ან სრულყოფილი ქართულენოვანი ალტერნატივები, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს მასალის სრულფასოვანი გაგება და დამოუკიდებლად მუშაობა.
ინდიკატორი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა	**ესთეტიკური არზრდა:** სასურველა, მუსიკასა და ხელოვნებაში განმსაზღვრელი შეფასები უფრო მეტად

2.1.2.5	და ამოცანებს	დაიხვეწოს და მათში მკაიფიოდ გამოჩნდეს კონკრეტული ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისი მიზნებით (ამოცნობა, შეფასება, გაანალიზება და ასე შემდეგ) იქნება წარმოდგენილ
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია უფრო მეტად დაიხვეწოს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები და მათში მკაიფიოდ იყოს ასახული კონკრეტულ ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისი მიზნებით (დაკავშირება, შეფასება, გაანალიზება და ასე შემდეგ) იქნება წარმოდგენილი.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** მნიშვნელოვანია სკოლის უცხოური ენების კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრის სხდომაზ ცალკე საკითხად გაიტანოს და კათედრის წევრებისა თუ დირეექციის წარმომადგენლების ჩართულობით, მოახდინოს სასწავლო დამატებითი რესურსების ვალიდაცია.
ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**ხარისხის ექსპერტი:** მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, რაც უკავშირდება საათობრივ ბადე. (იხ. ინდიკატორი 2.1.1.4-ის აღწერა)
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	**ხარისხის ექსპერტი:** სასურველია,კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენებ მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია კურიკულუმში განისაზღვროს ცალკეული თემის დამუშავებისთვის საჭირო საათების რაოდენობა **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საგნობრივი კურიკულუმები იყოს ერთი სტრუქტურის და ამასთან ერთად გამორჩენილი გრაფები შეივსოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით,ასევე სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში ასახული შემოქმედებითი დავალების ეტაპებაბად ჩაშლილი დოკუმენტი გამომდინარეობდეს ჩარჩოში მოცემული დავალებებიდან. **უცხოური ენები:** უცხოური ენის კათედრამ (ოთხივე უცხოური ენისთვის ყველა საფეხურზე/კლასში) შეიმუშოვოს და წარმოადგინოს საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტაცია / კურიკულუმის ჩარჩო, რომლებშიც ყველა თემის ფარგლებში დამუშავდება თითოეული საფეხურთვის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება/გრძელვადიანი მიზნებ იმგვარ დავალებებში, რომლებითაც მოხდება მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) რეალიზება.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**უცხოური ენები:** უცხოური ენების კათედრის მიერ , მნიშვნელოვანია, **ყველა საფეხურზე,** თითოეულ კლასთან შემუშავდეს წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტაცია, რომლებიც ზუსტად ასახავენ მჭიდრო კორელაციას საგნობრ პროგრამასა და ამა თუ იმ უცხოური ენის სგანობრივ სტანდარტს შორის.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული	**საბუნებისმეტყველო**: სასურველია წყლის ნიჟარა იყოს არა კერამიკის, არამედ მეტალის, რათა თავიდან ავიცილოთ მინი ჭურჭლის მსხვრევის პრობლემა(უსაფრთხოების დაცვის

	სწავლის შედეგების მიღწევას	მიზნით) და უფრო დიდი ზომის. ასევე ქიმიური რეაქტივები შესანახი კარადა იყოს მეტალის კარკასის. **უცხოური ენები:** უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტებში/კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში, გადამოწმდეს დამატებით რესურსად წარმოდგენილი ბმულების რელევანტურობა დაგეგმილ სასწავლო პროგრამასთან და ასევე, გადამოწმდეს ყველა ბმული აქტიურია თუ არა.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური არზრდა:** სასურველა, მუსიკასა და ხელოვნებაში განმსაზღვრელი შეფასები უფრო მეტად დაიხვეწოს და მათში მკაიფიოდ გამოჩნდეს კონკრეტული ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისი მიზნებით (ამოცნობა, შეფასება, გაანალიზება და ასე შემდეგ) იქნება წარმოდგენილი.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია უფრო მეტად დაიხვეწოს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები და მათში მკაიფიოდ იყოს ასახული კონკრეტულ ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისი მიზნებით (დაკავშირება, შეფასება, გაანალიზება და ასე შემდეგ) იქნება წარმოდგენილი.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** მნიშვნელოვანია სკოლის უცხოური ენების კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრის სხდომაზ ცალკე საკითხად გაიტანოს და კათედრის წევრებისა თუ დირეექციის წარმომადგენლების ჩართულობით, მოახდინოს სასწავლო დამატებითი რესურსების ვალიდაცია.
ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**ხარისხის ექსპერტი:** მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში , გასწორდეს ტექნიკური ხარვეზე, რაც უკავშირდება საათობრივ ბადე. (იხ. ინდიკატორი 2.1.1.4-ის აღწერა)

ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	**ხარისხის ექსპერტი:** სასურველია,კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია კურიკულუმში განისაზღვროს ცალკეული თემის დამუშავებისთვის საჭირო საათების რაოდენობა **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საგნობრივი კურიკულუმები იყოს ერთი სტრუქტურის და ამასთან ერთად გამორჩენილი გრაფები შეივსოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით,ასევე სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში ასახული შემოქმედებითი დავალების ეტაპებაბად ჩაშლილი დოკუმენტი გამომდინარეობდეს ჩარჩოში მოცემული დავალებებიდან. **უცხოური ენები:** უცხოური ენის კათედრამ (ოთხივე უცხოური ენისთვის ყველა საფეხურზე/კლასში) შეიმუშოვოს და წარმოადგინოს საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტაცია / კურიკულუმის ჩარჩო, რომლებშიც ყველა თემის ფარგლებში დამუშავდება თითოეული საფეხურთვის საგნობრივი სტანდარტით

		განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება/გრძელვადიანი მიზნებ იმგვარ დავალებებში, რომლებითაც მოხდება მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) რეალიზება.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**უცხოური ენები:** უცხოური ენების კათედრის მიერ , მნიშვნელოვანია, **ყველა საფეხურზე,** თითოეულ კლასთან შემუშავდეს წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტაცია რომლებიც ზუსტად ასახავენ მჭიდრო კორელაციას საგნობრ პროგრამასა და ამა თუ იმ უცხოური ენის საგანობრივ სტანდარტს შორის.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო**: სასურველია წყლის ნიჟარა იყოს არა კერამიკის, არამედ მეტალის, რათა თავიდან ავიცილოთ მინი ჭურჭლის მსხვრევის პრობლემა(უსაფრთხოების დაცვის მიზნით) და უფრო დიდი ზომის. ასევე ქიმიური რეაქტივები შესანახი კარადა იყოს მეტალის კარკასის. **უცხოური ენები:** უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტებში/კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში, გადამოწმდეს დამატებით რესურსად წარმოდგენილი ბმულების რელევანტურობა დაგეგმილ სასწავლო პროგრამასთან და ასევე, გადამოწმდეს ყველა ბმული აქტიურია თუ არა.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია უფრო მეტად დაიხვეწოს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები და მათში მკაფიოდ იყოს ასახული კონკრეტულ ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისი მიზნებით (დაკავშირება, შეფასება, გაანალიზება და ასე შემდეგ) იქნება წარმოდგენილი.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** მნიშვნელოვანია სკოლის უცხოური ენების კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრის სხდომაზ

		ცალკე საკითხად გაიტანოს და კათედრის წევრებისა თუ დირეექციის წარმომადგენლების ჩართულობით, მოახდინოს სასწავლო დამატებითი რესურსების ვალიდაცია.
ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**ხარისხის ექსპერტი:** მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში , გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, რაც უკავშირდება საათობრივ ბადე. (იხ. ინდიკატორი 2.1.1.4-ის აღწერა)
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	**ხარისხის ექსპერტი:** სასურველია,კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლამ წარმოდგინა სკოლის მისია და ხედვა, რომლებიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. კერძოდ, წარმოდგენილი მისიით და ხედვით სკოლა იღებს ვალდებულებას კონკურენტუნარიანი, წარმატებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი და ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბებაზე, რომლის მიღწევას უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით. სკოლა განაცხადს აკეთებს რეგიონის მაშტაბით სკოლის წარმატებაზე, რაც თვალსაჩინო უნდა გახდეს კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგებით, როგორც ქვეყნის ასევე საერთაშორისო მასშტაბით, ხოლო წარმატების მიღწევის გზად განსაზღვრულია ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაცია.

   სკოლის მისია ჟღერს შემდეგნაირად: შექმნას ჰარმონიული და ეფექტური, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო სასწავლო გარემო. უზრუნველყოს მოსწავლეებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების ფორმირება და კონკურენტუნარიანი, წარმატებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი და ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბება.

   სკოლის ხედვაა: გრძელვადიან პერსპექტივაში სკოლა საკუთარ თავს ხედავს რეგიონის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, მოიაზრებს კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილის წარმატებულ თვითრეალიზაციას ქვეყნისა თუ საერთაშორისო სარბიელზე, რასაც უზრუნველყოფს სწავლა სწავლების მაღალი დონით, ეფექტური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნით. ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციით.

   სკოლის მისია და ხედვა არ მტიცდება იგი დეკლარირებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით.

   1.1.1.1 ინდიკატორი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიით და ხედვით გაცხადებული მიზნების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს ჰარმონიული და ეფექტური, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნით, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციით ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ და ღირსეულ მოქალაქეებად. ამისათვის სკოლაში არსებობს ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდა სასკოლო დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და შვიდწლინ სტრატეგიულ გეგმებში გაწერილი სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და აქტივობები მიმართულია სკოლის გაცხადებული მიზნების განხორციელებისკენ. სასკოლო კურიკულუმით და სადამრიგებლო პროგრამით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ემსახურება მოზარდის პიროვნულ განვითარებას. სასკოლო სივრცეში გამოფენილი მოსწავლეების მიერ შესრულებული პროექტები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ბულინგი, ადამიანის უფლებები, გამოხატვის თავისუფლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს ტოლერანტი, საზოგადოებრივად აქტიური, დემოკრატიული პრინციპების მქონე თაობის აღზრდას, რომელიც პატივს სცემს სხვა ადამიანების უფლებებს. სკოლის ინკლუზიური გარემო უზრუნველყოფს ყველა შესაძლებლობის მოსწავლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განსაზღვრულია მისია, ხედვა ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით. კერძოდ, დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-4 თავი ეხება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების და თემის ჩართულობით პროცესის განხორციელებას. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასევე აღწერს ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვის ფორმას, განხორციელების ეტაპებს და ვადებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის შემუშავების პროცესის ამსახველი მტკიცებულებები: სკოლის დირექტორის მ/შ 2024 წლის 16 ივლისის N 2-111 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ფუნქცია მოვალეობების შესახებ. ასევე წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები(N1; N 2, N 3).

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ინტერვიუს დროს დეტალურად აღწერეს სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი. კერძოდ, ჯგუფის თითოეულმა წევრმა სხდომაზე წარადგინა თავისი წინადადებები, მოხდა საჯარო განხილვა და შეჯერება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარდა სასკოლო საზოგადოებასთან და დირექტორთან. მსჯელობის და შეჯერების შედეგად საბოლოო სახით მიღებული სკოლის ფილოსოფია გახდა სასკოლო სასწავლო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის ნაწილი.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-6 თავი ითვალისწინებს გაზიარების მექანიზმებს, ხოლო გაზიარების პროცესი აღწერილია მეთოდოლოგიის მე-9 თავში. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ფორმირებული სკოლის ფილოსოფია გაზიარდება სასკოლო საზოგადოებასსთან და დირექტორთან, ხოლო შეთანხმების შემთხვევაში გამოქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე/ფეისბუქგვერდზე. შესაძლებელია დირექტორმა სამუშაო ჯგუფს უკან დაუბრუნოს ფილოსოფიის განაცხადი და გარკვეული დრო (10 სამუშაო დღე) განუსაზღვროს უკუკავშირის გასათვალსიწინებლად. პროცესის მტკიცებულებად სკოლამ წარმოდგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები. N 2 სხდომის ოქმით გაცნობით დგინდება, რომ ჯგუფის ხუთმა წევრმა სკოლის ფილოსოფიის ფორმირების პროცესში წარმოდგინა საკუთარი მოსაზრებები. ჯგუფის წევრებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილ წინადადებებზე და შეჯერების შემდეგ ჩამოაყალიბეს სკოლის ფილოსოფია საბოლოო პროექტის სახით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაზიარებლად, რაზეც სკოლამ წარმოდგინა N 3 სხდომის ოქმი. მეთოდოლოგიის შესაბამისად საბოლოო პროექტის სახით ფორმირებული სკოლის ფილოსოფია გაზიარდა სკოლის დირექტორთან.
აღნიშნულიდან გამომდინერე **1.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ვებგვერზე და შენობის, ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე. როგორც ინტერვიუთი ირკვევა, მისია, ხედვა ღირებულებები გაჟღერდა სასკოლო ღონისძიებებზე.
აღნიშნულიდან გამომდინერე 1.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდება, სსიპ -ქალაქ ლანჩხუთის N 1 საჯარო სკოლა, სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას. **აღნიშნულიდან გამომდინერე 1.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- სკოლის დირექტორის მ/ შ N 2-111 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ფუნქცია მოვალეობების შესახებ.
- სამუშაო ჯგუფის ოქმები (N 1, N 2, N 3)
- მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის ვებ- გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/684?
- ფეისბუქ გვერდი. www.facebook.com/Lanchkhuti.pirveliskola.
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- საჯარო სკოლის წესდება
- სამეწარმეო საქმიანობის ამონაწერი

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც ადგენს სსიპ- ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მათი

პრიორიტეტებისა/ინტერესების გათვალისწინებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესები მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის ფორმატით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. შემდეგ ხდება მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. შემუშავების შემდეგი ეტაპია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ადგენს დირექტორის უფლებამოსილებას. კერძოდ, შემუშავებული გეგმები უკან დაუბრუნოს სამუშაო ჯგუფს შემდგომი გადამუშავებისათვის. გადამუშავებული გეგმების წარდგენის ვადა განისაზღვრება 10 სამუშაო დღით. **აღნიშნულიდან გამომდინარე 1.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითრების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 20 იანვრის სხდომაზე ოქმი N1, სტრატეგიული გეგმა მუშავდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს მის ციკლურობას. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს: შესავალ ნაწილს, სკოლის ფილოსოფიას, სკოლის მიზნებს , გარემოს სიტუაციური **SWOT** ანალიზსს და ხუთ სტრატეგიულ მიზანს, რომლებიც მიმართულია სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდაზე, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნაზე, ადამიანური რესურსის პროფესიული ზრდის ხელშეწყობაზე, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფაზე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, რამდენადაც სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები უზრუნველყოფს ჰარმონიული და ეფექტური, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციით ჩამოყავლიბდნენ დამოუკიდებელ და ღირსეულ მოქალაქეებად, შეიძინონ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და უნარები. **აღნიშნულიდან გამოდინარე 1.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას.

ადგილზე ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს (ოქმი-1) მიერ დამტკიცებული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან.

სკოლის სამოქმედო გეგმაში, გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული 5 სტრატეგიული მიზანი და ამოცანები.

აღნიშნულიდან გამომდინარე **1.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სამეურვეო საბჭოს N1 ოქმით დამტკიცებული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, აქტივობების შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს.

1.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მ/ შ N 2-111 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ფუნქცია მოვალეობების შესახებ.
- სამუშაო ჯგუფის ოქმები (N 1, N 2, N 3)
- მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 20 იანვრის სხდომის ოქმი N1-ით დამტკიცებული-2025-2032 წლის სტრატეგიული გეგმა
- სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N1 ოქმით დამტკიცებული 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების მონიტორინგის და შეფასების საკითხები. კერძოდ, განსაზღვრულია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების პერიოდულობა, პროცესის განმხორციელებელი ორგანო და მონაცემთა შეგროვების მეთოდი. სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წელიწადში ორჯერ იანვარში-ივნისში. ხოლო სტარტეგიული გეგმის მოქმედეგბის პრიოდის შუაში და ბოლოს. მონიტორინგის და შეფასების პროცესს ახორციელებს სამუშაო ჯგუფი. მონაცემთა შეგროვებისას გამოიყენება ანგარიშების წარდგენის მეთოდი. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის პროცესის შემდეგ განხორციელდება შეფასება. შესრულების შედეგებზე ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე 1.2.2.1 **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. კერძოდ, სტარტეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამუშო ჯგუფი. მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად გადის სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრას აოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ასევე ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. სამუშაო ჯგუფი ამზადებს შუალედურ ანგარიშს და წარადგენს დირექტორთან, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასების პროცესი ჯერ არ განხორციელებულა. თუმცა შემუშავებული მეთოდოლოგიით, სადაც გაწერილია სტრატეგიული/სამოქმეო გეგმების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების მექანიზმები სკოლა აცხადებს მზაობას პროცესები განხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე **1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გასაჯაროების მექანიზმებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების პროცესი არ განხორიელებულა, შესაბამისად ვერც იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუმცა სკოლას აქვს მზაობა მეთოდოლოგიის შესაბამისად გაასაჯაროოს შესრულების შედეგები ვებგვერდზე გამოქვეყნებით, რამდენადაც ვებგევრდზე არსებობს ველი სადაც განთავსდება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშები.

აღნიშნულიდან გამომდინარე **1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა იღებს ვალდებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე **1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის დირექტორის მ/ შ N 2-111 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ფუნქცია მოვალეობების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებამ საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგინა გრაფიკული სახით, შემუშავებულია თანამშრომელთა ფუნქციების განსაზღვრის დებულება და საშტატო განრიგი. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, 7საგნობრივ კათედრას,მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტის და მანდატურის სამსახურის. სკოლის საშტატოს განრიგი ადგენ საგანმანათლებო პროცესისთვის საჭირო პოზიციაზე დასაქმებულ პირთა რაოდენობას. საშტატო განრიგით სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სანფორმაციო მენეჯერი, სკოლის ექიმი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი (სპეციალური მასწავლებელი-3 და სსსმ პირის ასისტენტი-3 და მეტყველების თერაპევტი) დარაჯი, ცეცხლფარეში, დამლაგებელი-5. ძირითად საშტატო პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია დირექტორი ბრძანებით დამტკიცებულ-სკოლის თანამშრომლების ფუნქციათა განსაზღვრის დოკუმენტით, ხოლო შტატგარეშედ დასაქმებულ პირების ფუნქციებები (დარაჯი და 5 დამლაგებელი და ცეცხლფარეში) გაწერილია დასაქმბულთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია, ვინ ვის ექვემდებარება და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. დაკისრებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რამდენად ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, შეიძლება დადგინდეს

დასაქმებულ პირებთა შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასებით. ამ მიზნით სკოლა შემუშავებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა", სადაც იდენტიფიცირებულ პროცესებს შორის არის ,,ადამიანური რესურსების მართვა". სკოლის ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულ ამოცანებს შორისაა, სკოლაში თანამშრომელთა შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სკოლის მთავარი მიზნების შესრულებას. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი.

სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაწერილი კონკრეტული მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები, მათზე დაკისრებული ფუნქციები დაკავებული პოზიციების შესაბამისია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი, მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სკოლის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები და დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გრაფიკული სტრუქტურა-ორგანოგრამა
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დ/მ ბრძანება N 2-189 თანამშრომელთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკა
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N 6 მიერ დამტკიცებული ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დ/მ ბრ. N 2-166- ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის შესახებ
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 20 იანვრის სხდომაზე, ოქმი N1-ით დამტკიცებული-2025-2032 წლის სტრატეგიული გეგმა

- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N1 ოქმით დამტკიცებული 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

პერსონალის მართვის წესები და პირობები გაწერილია სკოლის სამეურვეო საბჭოს N 6 ოქმით დამტკიცებულ ,,ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკაში", რომელიც აღწერს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, სტრატეგიას, ამოცანებს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას, პერსონალის გადამზადებას, განვითარებას და შეფასებას. დოკუმენტის ზოგადი დებულებების ნაწილის მიხედვით, სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, საქათველოს განათლებისა და მეცნიერების 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით(ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ) და სხვა სამართებლივი დოკუმენტებით. სკოლა დასაქმებულ პირებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს, რომელბიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის გათვალისწინებით. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით"დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება მოქმედი ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის" შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია სქემით განსაზღვრული სტატუსის მასწავლებლები. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილის, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შინაგანაწესში და მასწავლებელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ჩარჩენილია ძალადაკარკული საკანონმდებლო აქტები. კერძოდ შინაგანაწესის მე-8 მუხლში, „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის" დამტკიცების თაობაზე" (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანება), ხოლო მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მე-6 მუხლიში ,,შრომითი ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი"

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების“) .

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, სკოლის შინაგანაწესით და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ სკოლას დადგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესები და პირობები.

სკოლა ეძლევა რჩევა, დროულად მოახდინოს სკოლის შინაგანაწესში და მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ჩარჩენილი ძალადაკარგული საკონონმდებლო აქტების ჩასწორება.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილი სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას შეფერხების გარეშე. გარდა ამისა, მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას, ახალი კადრების მოზიდვის პროცედურებს, რაც ხელს უწყობს დაწესებულებას დაგეგმოს და გაითვალისწინოს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელი პრევენციული და ინტერვენციული ზომები. სკოლას აქვს პერსონალის პრევენციული მართვის მიდგომა. კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია გააანალიზებს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან და საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ გამოაცხადებს კონკურსს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად. სკოლის შინაგანაწესთ განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას, მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სკოლის მაღალკვაკიფიციური კადრების მოზიდვისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა. სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით, ხოლო სხვა პერსონალის დირექტორის ბრძანებით. მასწავლებლის დასაქმების დროს გათვალისწინებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის“

მოთხოვნები. წარმოდგენილია მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დოკუმენტაცია, სადაც ჩანს, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები, პირობები, კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შექმნილია საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიები, წარმოდგენილია კომისიის სხდომის ოქმები, განაცხადი გამოქვეყნებულია საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. სკოლამ, ასევე წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ,,ნასამართლეობის", ,,უფლების ჩამორთმევის" და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ".

ადამიანური რესურსების მართვის წესით, საკონკურსო მასალებით და კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობებით დგინდება, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებულია 66 თანამშრომელი, აქედან 52 მასწავლებელია. სკოლას ჰყავს შემდეგი სტატუსის მასწავლებლები; უფროსი-35; წამყვანი-13, მაძიებელი -1, და 3 სპეციალური მასწავლებელი. მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის"და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლაში დასაქმებული კვალიფიური ექიმი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერთიფიკატს საოჯახო მედიცინაში.

ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის სკოლას დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს. პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართული იყო კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, ერთად იგეგმება სასკოლო პროექტები. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს სკოლის სივრცეში გამოფენილი განხორციელებული პროექტები. დირექტორმა აღნიშნა, რომ თავისი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად

იყვნენ ჩართული თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში, რაც დასტურდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფით. სკოლაში არსებული კეთილმოწყობილი საზიარო სივრცეები (სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი) ხელს უწყობს თანამშრომლობითი და გუნდური სამუშაო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. კერძოდ,სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება. შეფასება შესაძლებელია გახდეს თანამშრომელთა წახალისების საფუძველი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების სახეები და გამოყენების წესი. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას ძალიან დაეხმარათ ერთმანეთის წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. ადგილზე ვიზიტის დროს თვალსაჩინო იყო წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობის აღიარების ფაქტი, კერძოდ, სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის ვარსკვლავის განთავსება სკოლის სივრცეში.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ -ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N 6 მიერ დამტკიცებული ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები
- პერსონალის დანიშვნის აქტი
- პერსონალის პირადი საქმეები
- საკონკურსო სხდომის ოქმები
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება
- საშტატო განრიგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. კერძოდ, ახდენს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას. დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით იგეგმება წახალისების სისტემის აქტიური გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ადამიანური რესურსების სტაბილურობისთვის შესაბამისი რეკომენდაციები. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა დაგეგმავს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. მაგალითად, პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგების, საკონსულტაციო შეხვედრებს, სემინარებს. სკოლაში შექმნილი ხარისხის მართვის ჯგუფი, როლის მუშაობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმა მოიცავს ადამიანური რესუსრსების განვითარების აქტივობებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური რესურსების მართვის წესით, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის ჯგუფის დებულებით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებული.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის განვითარების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ საჭიროებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტარტეგიული გეგმიდან ჩანს, რომ ,,სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება“

პირდაპირ კავშირშია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების განვითარების ამოცანები და აქტივობები.

ადამიანური რესურსების მართვის წესით, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით, სკოლა აცხადებს მზაობას პერსონალის განვითარება განახორციელოს გამოვლენილი საჭიროებების და წინასწარ განსაზღვრული აქტივობების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებული.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა". სკოლაში არსებული ხარისხის მართვის ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ, მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად, ხარისხის ჯგუფის დახმარებით, დაგეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება, კათედრის დებულება გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას დებულების სახით შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს ადაპტაციის მიზნებს, ეტაპებს, პროცედურებს. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფუნქციებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლა ეხამრება ახალ თანამშრომელს სწრაფ ადაპტაციაში. კერძოდ, აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. ხდება თანამშრომლების გაცნობა, სასკოლო ინფრასტრუქტურის დათვალიერება, სკოლის ფილოსოფიის, შინაგანაწესის და მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა. დამატება სკოლის სოციალურ ქსელში და სხვა საკომუნიკაციო არხებში.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ დასაქმებულის მოტივაციის ხარისხს განაპირობებს სკოლაში დამკვიდრებული გარემოს თავისებურებები, სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური მართვის მექანიზმები, რომლითაც დასაქმებული მიიღებს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობებს. თანამშრომელთა საჭიროებების განსაზღვრის საფუძველზე მოხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. წაახალისებს პერსონალის ინიციატივებს, რომელიც შესაძლოა გამოიკვეთოს საჭიროების კვლევის შედეგად.

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, სკოლა აცხადებს მზაობას წაახალისოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N 6 მიერ დამტკიცებული ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ ბრ. N 2-166- ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის შესახებ
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 20 იანვრის სხდომაზე, ოქმი N1-ით დამტკიცებული-2025-2032 წლის სტრატეგიული გეგმა
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს N1 ოქმით დამტკიცებული 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ ბრ. N 2-148 ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. აღნიშნული პროცესები განხილულია სკოლის-ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ორგანოს-ხარისხის მართვის ჯგუფს, ახდენს სკოლაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის წესს. იდენტიფიცირებული პროცესიების განხორციელება რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტებით, დებულებებით და წესებით, სადაც აღწერილია პროცესების და ქვეპროცესების განხორციელების ეტაპების მონაცვლეობა, რაც დამადასტურებელია იმისა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, **დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე,** პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ხოლო პროცესები აღწერილია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებში. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით-ძირითადი პროცესები. ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების წესით, საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესით და სხვა დოკუმმენტებით.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში არსებობს თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. კერძოდ, შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია

განცხადებების და საჩივრების განხილვის წესი, რომელიც მოიცავს: საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპებს, განცხადების/საჩივრის წარდგენის წესს და ვადებს. საჩივრის განხილვის წესს დისციპლინური წარმოების დროს, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. შიდა სასკოლო გამოცდის შედეგების გასაჩივრების პირობებს. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი ვინ და როგორ შეუძლია შეიტანონ სკოლაში საჩივარი/ განცხადება აუცილებელი რეკვიზიტების მითითებით. სკოლაში გამოცემული ბრძანებების, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით შემუავებულია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები და ფუნქციონირებს სტრუქტურული ორგანოები: სკოლას აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, მანდატურები, სკოლის ექიმი. თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2025 წლის 30 მარტის, N2-30 ბრძანებით დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- თამანშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N1საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2025 წლის 29 მარტის, N2-27 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“.
- სკოლის ვებგვერდიhttps://skolebi.emis.ge/schools/684?

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, სკოლის ვებ/გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: სტრუქტურა, შინაგანაწესი, განცხადებების და საჩივრების განხილვის წესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები. მითითებულია სკოლის მისამართი, ელ. ფოსტა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, სწავლების ენა და საგანმანათლებლო სტატუსი, პირველკლასელთა ლიმიტი, მათ შორის სსსმ მოსწავლის. ვებგვერდს აქვს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების ანგარიშის გამოქვეყნების ველი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სოციალური ქსელი, რომლის საშუალებით გაზიარებულია სკოლაში მიმდინარე სიახლეები. სკოლა საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს მესინჯერ ჯგუფებს, მშობელთა კრებებს და გამოკითხვის მეთოდს. წარმოდგენილია კითხვარის ფორმა (მშობელი), რომელიც მოიცავს ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რას მიიჩნევთ ჩვენის სკოლის ყველაზე ძლიერ მხარედ?, რას შეცვიდით სასწავლო პროცესში? თქვენი აზრით, რა შესაძლებლობები აქვს სკოლას და ვერ იყენებს ამჟამად? კითხვარის ფორმებიდან ჩანს რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების აზრი. ინტერვიუს დროს და შენობის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების სურვილებს და ინტერესებს. კერძოდ, სასკოლო საზოგდოების მოთხოვნის საფუძველზე სკოლაში ფუნქციონირებს კვების ბლოკი.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

წესდების და სკოლის სტრუქტურის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის წესდებით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობა.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება

- სკოლის სტრუქტურა-ორგანოგრამა
- სკოლის ვებგვერდი
- მშობლის კითხვარი
- პედსაბჭოს სხდომის ოქმები
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ომები
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემუშავებული, დამტკიცებული და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დამტკიცებულია საგანგებო შტაბი. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჩატარებული აქვს ტრეინინგი სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, სკოლამ წარმოდგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2025 წლის 16 აპრილის აქტი № 97 . გამოკვლევის აქტით დგინდება, რომ სკოლის შენობა-ნაგებობებს აქვს მცირედი შეუსაბამობა სახანძრო უსაფრთხოების დადგენილ ნორმებთან. სკოლამ დამატებით დოკუმენტებით წარმოადგინა, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №125/03 საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV75240000) და 2025 წლის 22 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტი შესრულებული სამუშაოების შესახებ. ჩატარებული სამუშაობის შემდეგ, 2025 წლის 23 ივნისს სკოლამ ისევ მიმართა შესაბამის ორგანოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დაგენის მიზნით. ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით წარმოდგენილია სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა-მდგრადობის დასკვნა, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს, ლ. სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ. დასკვნის თანახმად სსიპ-ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის შენობა მდგრადია და უსაფრთხოა ექსპლოატაციისთვის.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში ჰყავს მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, დასაქმებულია დარაჯი, შემოღობილია სკოლის პერიმეტრი, სკოლის შენობა აყვანილია სიგნალიზაციაზე, რაზეს არსებობს შესაბამისი ხელშეკრულება-ობიექტის ტექნიკური საშუალებებით დაცვის (დაპროექტება, მონტაჟი, ექსპლუატაცია)შესახებ. ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით სკოლის შენობაში სასწავლო სივრცეების გადანაწილებულია ასაკის შესაბამისად. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილია შენობის ერთი ფლიგელი.

სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

ინდიკატორი 3.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, მისი მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ჯანმრთელობა. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერთიფიკატს საოჯახო მედიცინაში. სკოლის ექიმი აწარმოდებს კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას. აღნიშნულიდან გამოდინარე სკოლას აქვს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

ინდიკატორი 3.4.1.2 შესაბამისობაშია

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ,,ინფორმირებულობის უზრუნველყოფის" მონაცემები. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირთა გადაადგილების კონტროლს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული უსაფრთხოების მექანიზმები უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. კერძოდ 3 სპეციალური მასწავლებელი, 3 ასისტენტი და მეტყველების თერაპევტი, სადამრიგებლო საათის პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდებას, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. გამოყოფილია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების გატარებას ძალადობის, დისკრიმინაციის, კიბერბულინგის შესახებ. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოსც შექმნის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 6 დამლაგებლი და 1 მეეზოვე, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლაში არის სველი წერტილები, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში, რომელთა მარაგებზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ზედამხედველობას უწევს სკოლის ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაციას და მონიტორინგი გაუწიოს სკოლის შიდა და გარე პერიმენტრის დასუფთავებას, გამოსაყენებელი ხსნარესა, დასუფთავების რეჟიმს, ნარჩენების მართვასა და სხვა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

ინდიკატორი 3.4.1.5.დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი-,,პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები". დოკუმენტი მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი-საქმისმწარმოებელი. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხებს. ამ ეტაპზე სკოლა არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, თუმცა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავთ პერსონალურ მონაცემთა შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

რჩევა: სასუველია სკოლას ჰყავდეს პერსონალირ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის მონაცემები რეგისტრირებული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ გვერდზე

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები" აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება მისი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი.

სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასების მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშია მანდატურის სამსახურის წარმომადგენელიც. სკოლის მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. მრჩეველთა საბჭოზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ინდიკატორი 3.4.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუსციების მართვის გეგმა
- შეთანხმების წერილი -MIA 1 25 01058438; 08/04/2025
- მდგრადობის დასკვნა-N 5001846925; 01/04/2025
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2025 წლის 16 აპრილის აქტი № 97
- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №125/03 -საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV75240000)
- 2025 წლის 22 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტი
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსისად მიმართვის წერილი MES 5 25 0000724910 ; 23/06/2025
- ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან
- ხელშეკრულება ექიმთნ
- ხელშეკრულება დარაჯთან
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ ბრ. N2-13 დამტკიცებული სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ ბრ. N2-172-მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი №2
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ ბრ. N2-09-სახანძრო უსაფრთხოებაე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ- ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქუჩა N123 -ში განთავსებულ ორსართულიან შენობაში. დაზუსტებული ფართობია 6096 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. შენობის საერთო ფართია-2730 კვ.მ
სკოლის შენობა წარმოადგენს სამი ორი ორსართულიანი ფლიგელისაგან შემდგარ ერთიან სივრცეს, სადაც ფლიგელები ერთმანეთთან დაკავშირებულია დერეფნებით. გარდა სასწავლო სივრცისა სკოლის შენობას მიშენებული აქვს ერთსართულიანი კვების ბლოკი. სკოლის შენობა ახლადრეაბილიტირებულია და ინფრასტრუქტურა მორგებულია ყველა შეაძლებლობის პირისთვის. სკოლაში სულ 23 საკლასო ოთახია, გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა) კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, რესურსოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის ოთახი, ექიმის კაბინეტი, მანდატურის ოთახი, კვების ბლოკი, კანცელარია, სპორტული დარბაზი გასახდელებით, სპორტულ დარბაზს აქვს საკლასო ოთახი, თეორიული მეცადინეობებისთვის. ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, ბიჭებისთვის, გოგნებისთვის და შშმ პირისთვის. სკოლას აქვს დიდი ეზო და სპორტული მოედანი. სკოლის ეზოში დამონტაჟებული მზის ენერგიის პანელები. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, სასწავლო დაფითა და კარადით.

სკოლის ბალანსზეა-883 მოსწავლის ასაკის შესაბამისი მერხი და სკამი. ვიზიტის დროს მიღება-ჩაბარების საფუძველზე კიდევ დაიმატა 75 ერთეული მოსწავლის ინდივიდუალური მერხი და სკამი; სასკოლო დაფა-27, კომპიუტერული ტექნიკა-122, პროექტორი-13; პრინტერი-4. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.

სკოლის შენობის მესაკუთრეა სახელწოფო, სკოლას ქონება გადაცემული აქვს არსებობის ვადით რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ რესურსით.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. სკოლას აქვთ საერთო სარგებლობის ეზო და ღია სპორტული მოედანი, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი (გასახდელებით), სააქტო დარბაზი, რომელიც ასევე გამოყენებული როგორც საგამოფენო სივრცე. სამასწავლებლო, რომელიც წარმოდეგენს ინდივიდუალური, გუნდური და თანამშრომლობით საქმიანობის გარემოს. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი, ინტერნეტით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი.

შემუშავებულია ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით რესურსებით სარგებლობის წესები, რომლებიც გამოკრულია თვალსაჩინოდ, შესაბამის ადგილზე.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, უზრუნველყოფილია ინტერნეტ მომსახურებით. წიგნები განთავსებული თაროებზე ანბანური წესით. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული წიგნების შემოწმებით დგინდება, რომ ისინი დამუშავებულია საბიბიოთეკო წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში წიგნადი ფონდი აღრიცხულის როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება), რომელიც განსაზღვრავს: ბიბლიოთეკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. ბიბლიოთეკაში რეგისტრაციისა და წიგნების გატანა/დაბრუნების წესებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, მკითხველის უფლება-მოვალეობებს, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესს. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დგინდება, რომ იგი აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. დამრიგებლებს ეხმარება ღონისძიებების გახორციელებასში და ასევე თავადაც არის ღონისძიებების ინიციატორი და განმხორციელებელი. სკოლის ბიბლიოთეკაში ინახება სკოლის საპატიო სტუმრების ჩანაწერების წიგნი, რომელთ შორისაა მრავალი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მათ შორის ამავე სკოლის კურსდამთავრებულებიც.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობა ახლად რეაბილიტირებულია. მისი ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებული შშმ პირისთვის, რომელსაც აქვს შესაძლებლობა შეუფერხებლად ისარგებლოს სკოლის ნებისმიერი რესურსით. სკოლის შენობას აქვს ორი ლიფტი, რაც შესაძლებლობას ქმნის შეუფერხებლად მოხდეს შშმ პირის გადაადგილება სკოლის ნებისმიერ წერტილებში. შენობის ორივე სართულზე არის სრულად ადაპტირებული სველი წერტილები, სადაც ასევე გათვალისწინებულია შშმ პირისთვის ადაპრირებული ხელსაბანიც. სკოლას აქვს საჭირო რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. აღნიშნულიდან გამომდინარე

ინდიკატორის 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს დიდი ეზო, სპორტული მოედანი და სპორტი დარბაზი, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას ჩატარდეს მრავალფეროვანი სპორტული და გასართობი ღონისძიებები; სააქტო დარბაზი, სადა გამოფენილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამუშევრები. ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი კარგი საშუალებაა საინტერესო ღონისძიებეისა და პროექტების წარმოსადგენად.

სამასწავლებლო, რომელიც წარმოდეგენს ინდივიდუალური, გუნდური და თანამშრომლობით საქმიანობის გარემოს და ასევე იძლევა პირადი სივრცის დაცულობის საშუალებას (სამსწავლებლოში ყველა პედაგოგისთვის გაკუთვნილია ლოკერები პირადი ნივთების შესანახად).

სკოლის შენობაში არსებული ნათელი და ფართე დერეფნები საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი აქტივობები განხორციელდეს. ადგილზე ვიზიტის დროს თვალსაჩინო იყო დერეფნებში გამოფენილი პროექტებისა და სკოლის მიღწევების ამსახველი მასალები. ეს არის სპორტული ჯილდოები თუ პროექტის ფარგლებში სკოლისთვის გადაცემული სიგელები, დიპლომები და ფულადი ჯილდოს დამდასტურებელი (1000 ევრო) სერთიფიკატები. სკოლა ამაყობს თავის ისტორიით. საპატიო დაფაზე გამოფენილია საპატიო კურსადამთავრებულების ფოტოები. სკოლის სივრცეში თვალსაჩინო ადგილს იკავებს სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის სახელი, რომელსაც სკოლამ გაუხსნა ვარსკვლავი. შენობის სივრცის ვიზუალური დათვალიერებით, ნათლად ჩანს, რომ სკოლა ეკუთვნის სასკოლო საზოგადოებას და იგი წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (ს/კ 27.06.56.099)
- შენობის საკადასტრო ნახაზი
- შენობის აზომვითი ნახაზი

- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ ბრ. N2-28-ით დამტკიცებული-ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ ბრ. N2-29-ით დამტკიცებული-ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ ბრ. N2-178 ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის შესახე
- ინვენტარიზაციის სხდომის ოქმი
- საინვენტარიზაციო უწყისი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ამ მიზნით შემუშავებულია „სსიპ- ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის ციფრული ტექნიკის გამოყენების სამოქმედო გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს ციფრულ ტექნიკის ექსპლოატაციაზე პასუხისმგებელ პირს. სკოლაში

ფუნქციონირებს IT ლაბორატორია, რომელიც სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი რესურსებით. შესაძლებელია ერთდროულად მოემსახუროს 30 მოსწავლეს. ლაბორატორიაში არის 30 ლეპტოპი, პროექტორი, პრინტერი, ჭკვიანი დაფა. სკოლაში არის დამატებით 15 პროექტორი, რომელიც განაწილებულია კაბინეტებსა და საკლასო ოთახებში. ლაბორატორიის რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა სუბიექტისთვის. პირველკლასელებს გადაეცემათ „ბუკები“ ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, რომლებსაც აქტიურად იყენებენ დაწყებით საფეხურზე სწავლების დროს. ლეპტოპებით ჯილდოვდებიან ასევე მოსწავლეები საბაზო საფეხურის წარჩინებით დამთავრების შემდეგ. სკოლის სივრცეებში, მაგალითად სამასწავლებლოში არის როგორც პერსონალური კომპიუტერები, ისე ლეპტოპები, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ ელექტრონული ჟურნალის შესავსებად, აგრეთვე სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებებისთვის. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეები დაცულნი არიან არასანდო პლატფორმებით სარგებლობისგან. მშობელთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილია კანცელარია, სკოლის ბიბლიოთეკა ინტერნეტი ხელმისაწვდომია სკოლის მთელ სივრცეში.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლის მიერ შემუშავებული ციფრული განვითარების გეგმა ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. შექმნილია სამი სამუშაო სივრცე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, მოსწავლეები მუშაობენ მათთვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეში, თითოეული სამუშაო სივრცეზე სკოლის მიერ განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. IT ლაბორატორიით სარგებლობისთვის შემუშავებულია წესი, რომლის მიხედვითაც გაკვეთილების ცხრილი აწყობილია ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში სხვა საგნის გაკვეთილების ჩატარება შესაძლებელი იყოს ლაბორატორიაში. ყველა საკლასო ოთახსა და სააქტო დარბაზში ინფრასტრუქტურა მოწყობილია ისე, რომ იძლევა ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობას. ლაბორატორიაში არის გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია

- მარშრუტიზატორის მიღება-ცაბარების აქტი
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მ/შ ბრ. N2-29-ით დამტკიცებული-ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი -„სსიპ- ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მ/შ ბრძანებით (სსიპ- ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 მარტი ბრძანება N 2-15) . საქმისწარმოების წესი ადგენს მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს და სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის, ამ დოკუმენტში დარეგულირებულია დოკუმენტების მომზადების, მიღების, გაგზავნის, შენახვის, პერსონალური მონაცემების დაცვის წესები, სკოლას შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow”) და მატერიალური ფორმით. სკოლა საქმისწარმოების წესის შესაბამისად აწარმოებს: გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow.emis.ge, Email@mes.gov.ge, და ასევე იყენებენ ისეთ ტექნოლოგიებს როგორებიცაა: eschool.emis.ge; Microsoft Teams;

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახულია ინფორმაციები: მისამართი,

იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. შევსებულია ინფორმაცია დასაქმებული პირების და პირველკლასელთა რეგისტრაციის შესახებ.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებული

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება მტკიცებულებებით. კერძოდ, სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციებს საგანმანათლებლოს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი

- „სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი“
- ბრძანება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
- ანგარიშები: მაცნეს, პრეზიდენტს, პარლამენტს საქმისწარმოების წესი;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით . სკოლას აქვს ვებ გვერდი(https://skolebi.emis.ge/), რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია: სკოლის ელ.ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მისამართი. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ. სოციალური ქსელშიც სკოლას აქვს თავისი Facebook გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია.

სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის“ შესაამისად. დოკუმენტის თანახმად, სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საზოგადოებასა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმას და პრინციპებს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას - სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, გეგმები და სხვა დოკუმენტები, რომლების სასკოლო საზოგადოების სუბიექტების მონაწილეობით და ჩართულობით არის მომზადებული, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოსა გადაწყვეტილებებითა და დირექტორის ბრძანებით. ფეისბუქ გვერდზე სკოლა ანთავსებს სანდო და უტყუარ ინფორმაციებსა და ფოტომასალებს სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ მშობლებიდან მიღებული შესაბამისი ნებართვების საფუძველზე.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლას შემუშავებული აქვს ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის“, რომლის მიზანია კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მოკავშირედ აქციოს თემი და ზოგადად, საზოგადოება. ჯანსაღი ურთიერთობა, პირველ რიგში, აუცილებელია ბავშვის წარმატების და მისი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენისათვის, სოციუმში მომავალი ინტეგრაციისათვის.

სკოლისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით შემუშავებულია მშობელთა გამოკითხვის ფორმები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი საფუძველზე ხდება შემდგომი საქმიანობის დაგეგმვა და გაუმჯობესება. აღნიშნულიდან გამომდინარე

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

skolebi.emis.ge გასხნილია, სსიპ-ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge შესაბამისი გვერდი (სადაც გასაჯაროებულია სასკოლო დოკუმენტაცია(ხედვა, მისია, ღირებულებები, შინაგანაწესი, სკოლის წესდება, სტუქტურა, სტრატეგიული, სამოქმედო დასასწავლო გეგმები, ხარისხის და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტები და სხვ) და ძირითადი ინფორმაცია სკოლის შესახებ(მისამართი, საკონტაკტო მონაცემები, მოსწავლეთა და პედაგოგთა რაოდენობა, პირველკლასელთა ლიმიტი, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლაში შექმნილი სხვადასხვა კლუბების დებულებები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.5.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ/გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/684?
- ფეისბუქ გვერდი. www.facebook.com/Lanchkhuti.pirveliskola.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- მშობლის კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე N5 ოქმით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიში, შეყიდვის აქტები, სახელმწიფო შესყიდვების წესი და შესყიდვების გეგმა) დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსების, კომპიუტერული ტექნიკის, სპორტული ინვენტარის, სამედიცინო ინვენტარის,საგანგებო სიტუაციებისა და უსაფრთხოების მოწყობილობების შეძენისა ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალსიწინებული გარკვეული აქტივობების განხორციელებას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის წესდება განსაზღვრავს სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემას.. სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით. სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება. სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, სახელწიფო კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, მათ შორის სკოლის დირექტორის მ/შ N2-186 ბრძანებით განსაზღვრული-სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორად , შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორეტირებაზე უფლებამოსილი პირად სკოლის ბუღალტერის განსაზღვრის შესახებ, დგინდება, რომ სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო სკოლის წესდება
- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს N 5 ოქმი
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 დეკემბრისფინანსური ანგარიში
- შეყიდვის აქტები
- სახელმწიფო შესყიდვების წესი და შესყიდვების გეგმა
- სკოლის დირექტორის მ/შ N2-186 ბრძანება ,,სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორად , შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორეტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ,

- სკოლის დირექტორის მ/შ 2-187 ბრძანება ,,სახელმწიფო შესყიდვების წესის დამტკიცების შესახებ“
- სკოლის დირექტორის მ/შ 2-188 ბრძანება ,,სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები სკოლაში დარეგულირებულია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად შექმნილი შიდა სასკოლო დოკუმენტებით: სკოლის წედებით, სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით. სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის უფლებები, ინტერესები, წახალისების საშუალებები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. კლასის დამრიგებლები ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობს შინაგანაწესს. სკოლას ჰყავს 3 მანდატური, რომელიც აფიქსირებს სკოლაში ნებისმიერ უარყოფით ფაქტს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. სკოლაში ფუნქციონირებს წარმომადგენლობითი ორგანო მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას შემუშავებული აქვს თვითმმართველობის დებულება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მისი ფუნქციები. სკოლის სამეურვეო საბჭოში არჩეულია თვითმმართველობის წარმომადგენელი. ასევე მოსწავლეთა ორი წარმომადგენელი არჩეულია დისციპლინური

კომიტეტის შემადგენლობაში და მონაწილეობენ მის საქმიანობაში. აქტიური და წარჩინებული მოსწავლეების წასახალისებლად სკოლას შიდასასკოლო დოკუმენტებში გაწერილი აქვს მოსწავლეთა დაჯილდოების ფორმები, მოსწავლეებს გადაეცემათ ქების ფურცლები. სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე სკოლის ვალდებულებები. საჭირო შემთხვევაში მოსწავლის შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანასთნ დაკავშირებით, ინდივიდუალური სამუშაო გეგმების შემუშავება, სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება, მშობლებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4 1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. კერძოდ, მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალეობის მიზნით შინაგანაწესი სკოლაში განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, სასწავლო წლის დაწყების პირველი კვირის განმავლობაში მშობელთა და მოსწავლეთა კრებებზე განიხილავენ და აცნობენ სასკოლო საზოგადოებას ამ დოკუმენტს, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი მოსწავლე სისტემატიურად ესწრება სამეურვეო საბჭოს სხდომას, მონაწილეობას ღებულობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებასა და მის კორექტირებაში, სამეურვეო საბჭოზე წარდგენილი დირექტორის ანგარიშების (სასწავლო პროცესის წარმართვისა და საფინანსო საქმიანობის) შეფასებასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, ჩართულია დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში. სკოლა ეფექტურად იყენებს Teams-ის პლატფორმას, ფეისბუქ გვერდს და ელექტრონულ ჟურნალს სასკოლო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმირების ან სხვადასხვა განსხვავებული აზრის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. სკოლას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, რომელიც ნებისმიერი პროცესის გაზიარებისა და გამჭვირვალობის, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პროცესში უკუკავშირის გათვალისწინებისათვის საუკეთესო საშუალებაა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4. 1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელის თითოეული პუნქტი გამომდინარეობს მოსწავლის ინტერესებიდან. ყველა პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლისა და მობილობით ჩარიცხული მოსწავლის მშობელი ეცნობა ამ ხელშეკრულებას და ადასტურებს გაცნობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა გაწერილი სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთვალდებულებების შინაარსი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- თვითმმართველობის დებულება
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- დამრიგებლის დებულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კერძოდ, დირექტორის N2-21, 21.03.25 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესებზე პასუხისმგებელია შესაბამისი უფლებამოსილი პირი. ინფორმაციის გაზიარებისთანავე ახორციელებს შესაბამის პროცედურებს, ამ ინფორმაციებს აცნობს სასკოლო საზოგადოებას სკოლისთვის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო საშუალებებით ელექტრონულად ან საინფორმაციო დაფაზე განთავსებით. აღნიშნული დოკუმენტი გაზიარებულია კლასის დამრიგებელთათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პროცედურის დაცვით, მობილობის სურვილის შემთხვევაში სკოლა პროცედურების განხორციელებს იწყებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქმისწარმოების წესის დაცვით, ხორციელდება განცხადების განთავსება ელექტრონულ ბაზებში და გამშვები სკოლიდან მიღებული თანხმობის შემთხვევაში, პირადი საქმის მიღებისთანავე, ადმინისტრაციის მხრიდან იქმნება ბრძანება ჩარიცხვის შესახებ. სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების წინაპირობაა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება. ადგილზე ვიზიტის დროს, მართვის საინფორმაციო

სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდენა, სკოლაში კანონმდებლობის წესის დაცვით განხორციელდა პირველკლასელთა ჩარიცხვა, მათ შორის სსსმ მოსწავლის. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეთათვის ადგილების რაოდენობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. კერძოდ, სკოლა მე-4 კლასის დასრულების შემდეგ, მშობლებს სთავაზობს მეორე უცხო ენის არჩევანს. უცხო ენის კათედრის წარმომადგენელები ხვდებიან შესაბამის კლასის მოსწავლეების მშობლებს, აწვდიან ინფორმაციას სკოლაში დანერგილი უცხო ენის პროგრამების შესახებ. მშობელი არჩევანს ადასტურებს განცხადებით ან დამრიგებელი წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას სამსახურეობრივ ბარათს, რის საფუძველზეც ხდება ენის არჩევა. სასწავლო სასკოლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია რა სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს სწავლების პროცესი, რაც დატანილია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების მოსწავლეთა კლუბი. მათ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია სკოლაში არსებული კათედრები. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების მხრიდან პედაგოგიურ საბჭოზე ხორციელდება იმ აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაჟღერება, რომლის განხორციელება იგეგმება სასწავლო წელს. კათედრები წარადგენენ კლუბის დებულებასა და მუშაობის გეგმას. ინფორმაციის გასაჯაროება ხორციელდება დამრიგებლების მხრიდან მშობელთა კრებებზე, თავსდება საინფორმაციო დაფაზე და აღნიშნულ მომსახურებებში ჩართვა შეუძლია ყველა მოსწავლეს ინტერესისა და შესაძლებლობების მიხედვით და ხელმისაწვდომია ყველასათვის. სკოლაში ახალად ჩარიცხულ მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლა კლასის ხელმძღვანელის მეშვეობით აცნობს სასკოლო გეგმით განსაზღვრულ მომსახურების პირობებს, აცნობს სკოლის შინაგანაწესს. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ეს პროცედურა ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საჯარო ინფორმაციები სკოლის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. კერძოდ, კლუბებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალები, სასკოლო კვლევები, სასკოლო და სასწავლო პროექტები, თვითმმართველობის საქმიანობა, მშობელთა

კლუბის აქტივობები, სკოლაში არსებული მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია გასაჯაროებულია სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელ facebook-ზე; ინფორმაციის გასავრცელებლად წარმატებით გამოიყენება სკოლის ელექტრონული ფოსტა, TEAMS-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი. ფუნქციონირებს დახურული საკლასო ჯგუფები („მესენჯერზე“), რომლებში გაერთიანებულია კონკრეტული კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. სკოლა ხშირად ახორციელებს მოსწავლეების მიღწევების, ნაშრომების, კომპლექსური დავალებების პროდუქტების გასაჯაროებას, პრეზენტაციებს სხვადასხვა უწყებიდან მოწვეული სტუმრებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, დაინტერესებული პირებთან, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სკოლაში არსებულ წარმატებულ პრაქტიკას, ინფორმაცია მიეღონ თავად მოსწავლეებისგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- დამრიგებლის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2025 წლის 21 მარტის ბრძანება N2-21-ით დამტკიცებული ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“
- სკოლის სოციალური ქსელი
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები. კერძოდ, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტის მიზანია მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, რათა სსსმ მოსწავლეს, პირველკლასელ და მობილობით გადმოსულ მოსწავლეს გაუადვილდეს შეცვლილ სიტუაციასთან შეგუება. სკოლაში დამკვიდრებულია ტრადიციაა მომავალ პირველკლასელთა სტუმრობა ბაღიდან, ისინი ეცნობიან სკოლას, მომავალ დამრიგებელს და მასწავლებლებს და ჯილდოვდებიან სიმბოლური მედლით, რომელსაც აქვს წარწერა ,,პირველსკოლელი". სსსმ მოსწავლის შემთხვევაში სკოლა ადგენს მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით და სპეც.მასწავლებლებთან კონსულტირებით ისგ-ს, სკოლა მორგებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე (ლიფტი, ადაპტირებული საპირფარეშო და სხვ)

სკოლას აქვს სკოლის საჭიროებებისა და პრაქტიკის კვლევების გარკვეული გამოცდილება, მაგალითად სკოლაში მოსწავლის ტრანზიციის და ადაპტაციის მიზნით ჩატარდა კვლევა დაწყებითი კლასების კათედრაზე და ინტერვენციებს აქტიურად იყენებს სასკოლო ცხოვრებაში. ასევე ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლებიც მორგებულია სკოლის საჭიროებებს

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტში გაწერილი მექანიზმებით, სკოლა აცხდებს მზაობა უმტკივნეულოდ განხორციელდეს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია.სკოლამ გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ ახალი რებილიტირებული სკოლა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ყველასათვის ხელმისაწვდომის სასკოლო სივრცე სწავლის დაწყების პირველ დღეს საზეიმო მიღებას უმზადებს მთელ სასკოლო საზოგადოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლას გააჩნია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს და Teams-ის პლატფორმას. მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესს, მოსწავლის უნარებს, შესაძლებლობებს. პედაგოგების განცხადებით იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს ამის საჭიროება აქვს, აკადემიური მიღწევების

გასაუმჯობესებლად მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს, პირველ რიგში მშობლებთან შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების გაცნობა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა. მშობლებს აქვთ ხელმისაწვდომობა მათი შვილების შედეგებთან ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობლის დროულ ინფორმირებას. შემაჯამებელი სამუშაო ფასდება რუბრიკით, რომელიც წინასწარ იცის მოსწავლემ, შემდეგ მასწავლებელი აწვდის კონსტრუქტიულ უკუკავშირს. კათედრებზე დაგეგმილია სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება. ექსტერნის გამოცდისთვის ინიშნება საკონსულტაციო დღე. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში რემედიაციის პროგრამის შეთავაზება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

მოსწავლეს დადგენილ ვადებში ეწევა ადმინისტრაციულ მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით .კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში. წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მოსწავლეებს დამრიგებლები აცნობენ მათ უფლებებს, მხარდაჭერის პირობებს, განმსაზღვრელი ნიშნის ამაღლების პირობებს და პროცედურებს, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულების შესაძლებლობას, საგამოცდო ვადებს. მათთვის მიწოდებულია ინფორმაცა, რომ ეს მხარდაჭერა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. ყოველივე ეს ეცნობება სასკოლო საზოგადოებას შეხვედრებზე ან სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით. მშობლებს აქვთ ინფორმაცია მოსწავლეთა მობილობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებებისთვს მოსწავლეებს ეთმობათ სასკოლო სივრცეები: სააქტო დარბაზი, კომპიუტერულ ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ფოიე, ეზო, სპორტული მოედანი. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, მოსწავლეებს ემსახურება კვალიფიციური ექიმი-პედიატრი ექიმით. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარების ყველა საჭირო ნივთითა და მედიკამენტებით. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს ექიმი უწევს პირველად დახმარებას და დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას მოსწავლის მშობელს. სკოლას დანერგილი აქვს და ახორციელებს სსსმ მოსწავლეებისათვის შინ სწავლებას, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი მომსახურება ესგ-ზე დაყრდნობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები და წრეები, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, რომელიც ასახულია სკოლის ფეისბუქგვერდზე. აღსანიშნავია ლიტერატურის კლუბ ,,მნათობის", ისტორიის კლუბ ,,ფესვების" სამოქალაქო განათლების კლუბისა და ,,ეკოCLUB-ლანჩხუთი1"-ის აქტივობები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯ ,,ჰორიზონტთან", განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი საერთო აქტივობა ასევე ადგილზე ვნახეთ სხვადასხვა სასკოლო პროექტების მასალები, რაც ადასტურებს რომ მოზარდების ინტერესების წახალისებიდან გამომდინარე ადმინისტრაცია ითვალისწინებს მათ მონდომებას და ხელს უწყობს საკლუბო მუშაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას - ამის დასტურია მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ წამოყენებული ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელებაში დახმარება. ადმინისტრაცია ითვალისწინებს მათ მონდომებას და ხელს უწყობს საკლუბო მუშაობას და მასწავლებელების ინიციტივებს სასწავლო პროექტებთან კავშირში. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლიდან უფრო დაიხვეწება და გააქტიურდება ამ კუთხით მუშაობა.სკოლა მოსწავლეებისა და დაინტერესებული პირებისგან იღებს აქტიურად უკუკავშირს, კითხვარების, პირისპირ საუბრების, დიალოგების გზით და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ეხმარება გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. მშობელთან უშუალო დიალოგის გზით გამოკვეთილი არაერთი საჭიროება დაკმაყოფილდა სკოლის მხრიდან, მაგალითად ტრანსპორტის მომსახურებასთან და კვებასთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- კლუბების დებულება
- დამრიგებლის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ტრანზიციის წესი

- სოციალურ ქსელში https://facebook.com/lanchkhutipirveliskol
- დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- კვლევა მოსწავლეთა ტრანზიციის შესახებ

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლა ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს. გაფორმებული აქვს მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯ ,,ჰორიზონტთან", რომელიც სკოლაში პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა პროფესიულ კურსებს. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდა შემდეგი პროგრამები: ჭრა-კერვა, კომპიუტერული ტექნოლოგიები,ბუღალტრული აღრიცხვა, ელექტროობა, რომელთა სრული კურსის გავლის შემდეგ მოსწავლეებმა მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები და პედაგოგები სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით ატარებენ აქტივობებს. სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრები ჩატარებული აქვთ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, ასევე ხშირად იმართება უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა შეხვედრები, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ. სკოლის უფროსკლასელთა ჯგუფი მონაწილეობს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (კიუ) პროექტში, რომლის მიზანიც სწორედ მოსწავლეებში მომავალი კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობა და საუნივერსიტეტო ცხოვრების ადრეული ასაკიდან გაცნობაა. სკოლაში ყველა კლასის დამრიგებელი ატარებს აღნიშნული თემატიკით კლასის საათს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა აწვდის მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაციებს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, კონკრეტული სასწავლებლების ღია კარის დღეების შესახებ, თანამშრომლობს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან, სისტემატიურად მასპინძლობს უნივერსიტეტის მესვეურებს, სადაც მოსწავლეებს პირისპირ შეხვედრებში აცნობენ სხვადასახვა საინტერესო პროგრამებს და

პროექტებს, სკოლა მასპინძლობს ხოლმე ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებს, შეხვედრაზე მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას თავდაცვის აკადემიის პროგრამების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ მოსწავლეები დასახულ მიზანებს, აბარებენ წარმატებით მისაღებ გამოცდებს, არიან წარმატებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები. სკოლა იკვლევს თუ რა პროფესიას უნდა დაეუფლოს მოზარდი, რომ მან შეძლოს თავის დამკვიდრება თავისსავე რეგიონში. ამით ეხმარება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით მომავალი პროფესიის არჩევაში. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სწორედ მშობლებთან შეთანხმებით შეირჩა ის მოსწავლეები, რომლებიც ჩაერთვნენ „კიუ“-ს პროექტში, განხორციელდა ვიზიტი აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში, მოსწავლეები გაეცნენ მის სპეციფიკას, სასწავლო პროგრამებს, სასწავლებლის წამყვანმა პროფესორ-მასწავლებლებმა სპეციალური ლექციები ჩაატარეს მათთვის. სკოლა სადამრიგებლო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, განსაკუთრებით მე-9,10, 11 კლასებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯი ,,ჰოტიზონტი“ (11.07.2024)
- სერტიფიკატი
- დამრიგებლის ანგარიში და პორტფოლიო
- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალები https://facebook.com/lanchkhutipirveliskola
- საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. კერძოდ, სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ვადები და მასზე პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრულია ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან: ა)სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი ბ)საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს; გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები; დ) სსსმ მოსწავლის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი; ე)საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტები; ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქოსოციალური თავისებურებების გათვალისწინებით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლის ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლის პროცესის მონიტორინგი. სკოლა ადგენს ალტერნატიულ სასწავლო გეგმას მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის, თუ შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სწავლება .მოსწავლისათვის აუცილებელია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ალტერნატიული მიზნების შედგენა, როგორიცაა სასიცოცხლო ფუნქციური უნარ-ჩვევების გამომუშავება. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება საჭიროებისამებრ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება, რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, სიტუაციურად, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით.

სკოლას ჰყავს 3 სერთიფიცირებული სპეც.მასწავლებელი, 3 ასისტენტის და მეტყველების თერაპევტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს - დირექციასთან, სპეციალურ მასწავლებლებთან და საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლის წარმომადგენლები ეფექტურად მუშაობენ სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, სკოლაში ხდება ისგ ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებულია ისგ გეგმები, სპეციალური მასწავლებლის და საგნის მასწავლებლის ურთიერთანამშრომლობით, მაღალია მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა, რაც დადებით გავლენას ახდენას სსსმ მოსწავლეთა წინსვლასა და განვითარებაზე.სკოლაში სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლების, მეცნიერებისა და ახლგაზრდობის სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა სასწავლო წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ ჩატარებული სამუშაოების შესახებ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით ხდება სხვადასხვა რესურსების და მოდალობების გამოყენება, მოსწავლისათვის მისაწვდომია სასწავლო მასალის რესურსის შექმნა. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. თითოეული სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, ტაქტილური და სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება . სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. სპეც.მასწავლებელი ზრუნავს ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე და სკოლაში ინკლუზიური კულტურის დამკვიდრებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების დოკუმენტი
- სსსმ მოსწავლის ისგ გეგმები

- რესურს ოთახის მასალები
- ისგ სამოქმედო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას აქვს შემდეგი დამატებითი მომსახურბა: კვების და ტრანსპორტირების სერვისი. კვების ობიექტისთვის გამოყოფილი ფართი გასხვისებულია იჯარის წესით, სრული კანონმდებლობის დაცვით. ტრანსპორტირების სერვისი მოქმედებს 3 კმ-ზე დაშორებით მცხოვრები მოსწავლეებისთვის, სერვისის ღირებულების დაფარვა ხდება მუნიციპალური ხარჯებით. ტრანსპორტირება ხდება დამტკიცებული მარშრუტებისა და განრიგის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს დამფინანსებელი სკოლასთან შეთანხმებით, მოსწავლეთა უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით. სულ არის ოთხი მარშრუტი (ორაგვე–მაჩხვარეთი–№1 საჯარო სკოლა ჯუნეწერი-- ლანჩხუთის №1საჯარო სკოლა ჯაბელი- ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლა რკინიგზის გადასასვლელი-მეურნეობის ბინები-ლანჩხუთის №1 სკოლა აგარაკი-ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლა), რომელიც მოემსახურება 100 მოსწავლეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა დამატებითი, არასავალდებულო მომსახურეობის სახით მოსწავლეებს სთავაზობს, კვებას და ტრანსპორტირებას. ბუფეტის მომსახურეობა მოსწავლეებს სურვილის მიხედვით შეუძლიათ მიიღონ. ტრანსპორტირება ხორციელდება საჭიროებისა და სურვილის მიხედვით. აღნიშნული სერვისების წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. (სხდომის ოქმი-6)
და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

დამატებითი მომსახურება სკოლაში ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რაზეც პასუხისმგებელია სერვისის მიმწოდებელი. სკოლაში, ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი ყოველდღიურად ახდენს ტრანსპორტის მონიტორინგს, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს დროულად. ყოველივე ეს დასტურდება სატრანსპორტო განრიგით და ე.წ. ტაბელით, რომელსაც ხელს აწერს მძღოლი და პასუხისმგებელი პირი. რაც შეეხება კვებას, კანონმდებლობის წესის დაცვით, გაიჯარავებულია გარკვეული ფართი. სკოლის დირექცია მონიტორინგს უწევს ბუფეტის მუშაობას. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების ზედამხედველობას აწარმოებს სკოლის ექიმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტის განრიგი
- სატრანსპორტო ტაბელი
- აუდიტია დასკვნა საიჯარო ქირის შესახებ 2024 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით
- კვების ბლოკის საიჯარო ხელშეკრულება
- ნებართვა-სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსგან
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 6
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი MES 1 24 0001493526

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლამ წარმოადგინა სსიპ-ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება , გადასინჯვა და რევიზია); პროცესში ჩართულ მხარეებს და საზოგადოების ინფორმირების საშუალებებს.

მეთოდოლოგიური დოკუმენტის გაცნობით დგინდება, რომ ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება, მუდმივმოქმედი პროცესია და მასში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. რისთვისაც სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონული ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიას, საჯარო ღონისძიებებს - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. საგნობრივი ჯგუფის წევრებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნება სასკოლო კურიკულუმი თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შედგენის დროს გაითვალისწინეს პედაგოგების გამოცდილება. ასევე გათვალსიწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების გაცნობით და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, სკოლაში მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამორკვევის შედეგად ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სამი უცხოური ენიდან აირჩიონ ერთ-ერთი. სკოლაში დაწყებითი საფეხურის კლასები განთავსებულია ცალკე ფლიგელში, საწავლო გარემო მორგებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ინტერესებზე, დერეფნებში არსებობს სივრცეები დასვენებისთვის და სახალისო აქტივობებისთვის. საგნობრივი კურიკულუმებით შეთავაზებული დავალებები ითვალიწინებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები ფორმალურ განათლებასთან ერთად ითვალიწინებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, მათ შორის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას. აღნიშნული კურიკულუმებში გათვალსიწინებულია წლის განმავლობაში დაგეგმილი სასკოლო თუ სკოლის გარეშე ღონისძიებების ჩამონათალი. სკოლის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა დააკმაყოფილოს ყველა შესაძლებლობის მოსწავლის ინტერესები. ამისთვის სკოლაში არსებობს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, სკოლის ბიბლიოთეკა, სპორტული ინფრასტრუქტურა, რესურსოთახი, ხელოვნების /სააქტო კაბინეტი, კვების ბლოკი და მთლიანად შშმ პირზე მორგებული სკოლის სივრცე. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას ატარებს გამოკითხვებს და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ახდენს ცვლილებების შეტანას სასწავლო კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. სკოლაში, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. საგნების მასწავლებლები, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, ერთობლივად გეგმავენ სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთიანებს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს, რომლებიც ასევე მოიცავს შესაბამის საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლას გააზრებული აქვთ დირექციის, საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების როლი და ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგი კომპლექსური დავალების ეტაპების, შეფასების შესახებ ინფორმაციას, ელ. ჟურნალის საშუალებით უზიარებს მშობლებს. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლის

ინფორმირება სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს ისეთ საკომუნიკაციო არხებს როგორიცაა: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდით მასალები, საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან თუ დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომებზე ხდება დაგეგმილი პროცესების შესახებ მსჯელობა, პასუხისმგებლობების გადანაწილება. მშობელთა კრებებზე ხდება მშობელთა ინფორმირება და მათგან უკუკავშირის მიღება. სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღინიშნება 2023-2024 სასწავლო წლის თარიღები და ასევე საათობრივ ბადეში გაწერილია ისეთი საგნები, რომლებიც 2024-2025 სასწავლო წელს არ არის განსაზღვრული ესგ-ით და არც სკოლა ასწავლის, რამდენადაც არც საგნობრივი კურიკულუმებია წარმოდგენილი და არც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ითვალისწინებს კლასების მიხედვით (სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება მე-12 კლასი და საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება მე-11 კლასი). სასურველია მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალიწინებული იყოს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზები

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2024-2025წ.სასკოლო სასწავლო გეგმა
- დამრიგებლის დებულება
- კათედრის სხდომის ოქმები
- სამეურვეო საბჭოს N1 სხდომის ოქმი

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით,საბაზო, საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ- ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა: სასურველია კურიკულუმში განისაზღვროს ცალკეული თემის დამუშავებისთვის საჭირო საათების რაოდენობა** **2.1.2.1ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები შესაძლებლობას იძლევა ესგ-ით განსაზღვრული კომპონენტები დამუშავდეს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრობრივი თემები. კათედრას განსაზღვრული აქვს შუალედური მიზნები, რომლთა დამუშავებაც ხდება შემოქმედებითი პროდუქტებით. კათედრას წარმოდგენილი აქვს საკითხთა კლასტერები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება სამიზნე ცნებები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. **რჩევა : სასურველია, საგნობრივი კურიკულუმები იყოს ერთი სტრუქტურის და ამასთან ერთად გამორჩენილი გრაფები შეივსოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით,ასევე სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში ასახული შემოქმედებითი დავალების ეტაპებაბად ჩაშლილი დოკუმენტი გამომდინარეობდეს ჩარჩოში მოცემული დავალებებიდან.**

	2.1.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
უცხოური ენები	სკოლას წარმოდგენილი აქვს ოთხი უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) სასწავლო წლიური პროგრამა, ე.წ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკითხება, რომ დაგეგმილ სასწავლო პროცესში მუშავდება თემები იმ თემათა არეალიდან, რომელსაც გვთავაზობს აღნიშნული საგნების საგნობრივი სტანდარტები. თუმცა, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები/ წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტები არ გვაჩვენებენ ნათელ სურათს, იმისას,რომ მათი პროგრამა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე, პროცესი სასწავლო პროგრამის განხორციელებისა ძალიან ნაკლებად/ბუნდოვნად არის წარმოდგენილი. ვინაიდან, წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტებში (საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში) ვხვდებით თითოეული კლასისთვის ,მთელი წლის მანძილზე დაგეგმილ, მაქსიმუმ ორ, მინი პროექტული შინაარსის, სტანდარტის მოთხოვნებზე (ნაწილობრივ) გამსვლელ დავალებას. აღნიშნული დავლებების ნაწილი კი , ვერც პასუხობს სრულად თითოეული საგნის სტანდარტით განსაზღვრულ გრძელ ვადიან მიზნებს/ სამიზნე ცნებებს. მაგ., მე-6 კლასის ინგლისური ენის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოჩზე დაყრდნობით ჩანს რომ, სამიზნე ცნება “კულტურათა დიალოგი”მოსწავლეებთან არ მუშავდება Unit 5-ში, ასევე გერმანული ენის მე-8 კლასის პირველი თემა “Tina hat sich wehgetan” არ ეხმიანება სამიზნე ცნება” კულტურათა დიალოგს” და სხვა). ამ ყოველივეზე დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების სგანობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტაცია/ კურიკულუმის ჩარჩოები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, თუმცა საჭიროებს დახვეწას, რაც სკოლას მიეწოდება რჩევების სახით. **რჩევა: მნიშვნელოვანია, უცხოური ენის კათედრამ (ოთხივე უცხოური ენისთვის ყველა საფეხურზე/კლასში) შეიმუშოვოს და წარმოადგინოს საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტაცია / კურიკულუმის ჩარჩო, რომლებშიც ყველა თემის ფარგლებში დამუშავდება თითოეული საფეხურთვის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება/გრძელვადიანი მიზნები იმგვარ დავალებებში, რომლებითაც მოხდება მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) რეალიზება.** **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათდრაზე შემუშავებული დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმიები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნებოდეს ესგ. ასევე უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის შემოქმედებითობას და ცოდნის სამივე დონის მიღწევას. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მოსწავლეები ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებელები სასწავლო პროცსის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ- ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად და კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულა.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შდეგი კი ასახულია

	სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი სრულად პასუხობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების კრიტერიუმს. იგი ეფუძნება სწავლაზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპებს, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, ინტერესისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. კურიკულუმში გათვალისწინებული მრავალფეროვანი, პრაქტიკული და პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობები განაპირობებს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარების და ციფრული კომპეტენციების განვითარებას. **2.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაცია მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებაზე. საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება ყველა ის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას სკოლაში. ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. სკოლასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მორგებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. **2.1.2.1** ***ინდიკატორი შესაბამისობაშია***

2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, მათში გაწერილია თემის შესაბამისი შემოქმედებითი ტიპის დავალები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ისაუბრეს კიდევ ბევრი აქტივობის შესახებ, რომლებიც სრულად შეესაბამება ესგ-ს ინდიკატორებს. წარმოდგენილ მასალაში, ასევე ინტერვიუში, ნათლად იკვეთება რას და როგორ იყენებს მასწავლებელი სასწავლო მიზნების მისაღწევად, ასევე შეფასების

	რომელ ინსტრუმენტებს იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო რესურსები, რომლებიც იძლევა საშუალებას დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი შედეგები. კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე დამატებითი ვიდეო/აუდიო/ფოტო რესურსები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს, რომ სასწავლო პროცესში მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული თემები, თუმცა დოკუმენტებში ძალიან მწირია დავალებები, რომლებიც გვიჩვენებს მჭიდრო კორელაციას სასავლო პროგრამასა და უცხოური ენების სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან/სამიზნე ცნებებთან. თითოეული კლასის წლიურ პროგრამაში მაქსიმუმ ორი თემაა, სადაც წარმოდგენილია პროექტული შინაარსის დავალება. ხოლო, რა სახით ხდება მოსწავლეთა ცოდნის გამთლიანება დანარჩენ თემებში, და რამდენად რელევანტურია სკოლის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი საგნობრივ სტანდარტთან, ამაზე დასკვნების გამოტანა რთულია აღნიშნული დოკუმენტაციიდან. უფრო მეტიც, რიგ თემებში , იქ სადაც ვხვდებით პროექტული შინაარსის დავალებებს არ იკითხება ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. მაგ., ინგლისური ენის მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩო Unit 1 “ ჩემი საყვარელი სუპერ გმირი”-პოსტერის პრეზენტაცია არ ეხმიანება სამიზნე ცნება “კულტურათა დიალოგს”. ასევე, ამავე კლასის წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტის (კურიკულუმის ჩარჩო) რიგ თემებში (unit-ებში) მოხსენიებულია სამიზნე ცნებები, რომლებიც ამ საფეხურის საგნის სტანდარტით არ არის გათვლილი. მაგ., სამიზნე ცნება “ჟანრი” (რიგ თემებთან წერია , რომ მუშავდება სამიზნე ცნება “ტექსტი” მაშინ როდესაც, იმავე კლასის თემათა ნაწილთან კი მუშავდება სამიზნე ცნბეა “ჟანრი”). **რჩევა**: უცხოური ენების კათედრის მიერ , მნიშვნელოვანია, **ყველა საფეხურზე,** თითოეულ კლასთან შემუშავდეს წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტაცია, რომლებიც ზუსტად ასახავენ მჭიდრო კორელაციას საგნობრივ პროგრამასა და ამა თუ იმ უცხოური ენის სგანობრივ სტანდარტს შორის. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი უმეტესწილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. საგან მუსიკაში ყველა კლასის კურიკულუმი გაწერილია ესგ მიზნებზე დაფუძნებით და სრულად შეესაბამება მის მოთხოვნებს.

	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში 1-4 კლასების კურიკულუმში არასრულადაა შევსებული კურიკულუმი და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას, დანარჩენი კლასები სრულ შესაბამისობაშია. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი, საგან სახვით სა გამოყენებით ხელოვნებაში, საჭიროებს სრულ შეასაბამისობაში მოყვანას ესგ მიზნებთან(ცნებების და თემატური ბლოკების სრულყოფილად შვსებას). **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვუითი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი შემოქმედებითი ტიპის დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ ასეთი დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერარქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვის, უსაფრთხოების დაცვის, სამართლიანი თამაშის წესების დაცვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი მიზანმიმართულად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ის უზრუნველყოფს სწავლის პროცესის დაგეგმვას ისე, რომ განვითარებული იყოს მოსწავლეთა საკვანძო კომპეტენციები: ციფრული წიგნიერება, კრიტიკული აზროვნების უნარი, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა და პასუხისმგებლობა. თემატური ერთეულები, ინტეგრირებული აქტივობები და მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს რთავს შემოქმედებით, აქტიურ და გააზრებულ სწავლის პროცესში, რაც სრულად შეესაბამება ეროვნული გეგმის პრინციპებსა და ღირებულებებს. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის დაგეგმვას ისე, რომ მიღწეულ იქნას საგნობრივი გრძელვადიანი მიზნები თემებიდა და საკითხების შესაბამისად. **2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმში ასახული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები, ვიდეო გაკვეთილები, რომლებიც ჰიპერბმულებით არის წარმოდგენილი ხელს შეუწყობენ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. დამხმარე რესურსების რელევანტურობა და ვალიდურობა განხილულია კათედრის სხდომაზე. გადმოგზავნილ მატრიცებში, ასევე ინტერვიუს დროს, აღწერილია მრავალფეროვანი რესურსი (მათ შორის მანიპულატივები, კვლევითი, ექსპერიმენტალური დავალებისთვის საჭირო რესურსები) რომელიც უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას. სკოლას აქვს ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ექსპეტიმენტის ჩატარება. არის რეაქტივები და სხვადასხვა ხელსაწყო-მოწყობილობა სამივე საგნისთვის. ინტერვიუს დროს კი ისაუბრეს საშინაო ექსპერიმენტების შესახებ, რაც ავითარებს მოსწავლეში კვლევა ძიებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარებს. **რჩევა: სასურველია წყლის ნიჟარა იყოს არა კერამიკის, არამედ მეტალის, რათა თავიდან ავიცილოთ**

	მინის ჭურჭლის მსხვრევის პრობლემა(უსაფრთხოების დაცვის მიზნით) და უფრო დიდი ზომის. ასევე ქიმიური რეაქტივების შესანახი კარადა იყოს მეტალის კარკასის. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტებზე,(სამივე საფეხურის კურიკულუმი) დაყრდნობითა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომას, რაც წარმოდგენილია ადაპტირებული სასწავლო კურიკულუმით, რომელიც ემიზნება მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგები წინა წლის გათვალიწინებით მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო კურიკულუმებს, რაც იძლება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსები იძლევა საშუალებას დამუშავდეს უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის სტანდარტებით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები სამივე საფეხურზე. თუმცა, დამატებით წარმოდგენილი რესურსების ნაწილი (youtube-ის პორტალის ლინკები), ნაკლებად შეესაბამება რიგ დავალებებს, რომელებზე მუშაობისასაც იყენებენ აღნიშნულ ლინკებს საგნის პედაგოგი. მაგ., ინგლისური ენის მე-6 კლასის unit V- ში მოსწავლეებს ევალებათ შქმნან **პოსტერი** თემაზე "წარსულში მოღავწე ცნობილი ადამიანები" ხოლო, დამატებითი რესურსად წარმოდგენილი ლინკი კი გვასწავლის, როგორ შევქმნათ ბიოგრაფიული წიგნი. **რჩევა: უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტებში/კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში, გადამოწმდეს დამატებით რესურსად წარმოდგენილი ლინკების რელევანტურობა დაგეგმილ სასწავლო პროგრამასთან და ასევე, გადამოწმდეს ყველა ლინკი აქტიურია თუ არა.** **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რესურსი:გრიფირებული სახელმძღვანელოები, აუდი-ვიდეო მასალა,ტექნოლოგიური მოწყობილობები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ

	სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, შემოქმედებითი ხასიათის დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმში ასახული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები, ვიდეო გაკვეთილები, რომლებიც ჰიპერბმულებით არის წარმოდგენილი ხელს შეუწყობენ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. დამხმარე რესურსების რელევანტურობა და ვალიდურობა განხილულია კათედრის სხდომაზე. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები: მათ შორის emis.ge-ის პლატფორმა, Scratch.mit.edu, Code.org, Phet.colorado.edu, MS Office, Canva და სხვა - მრავალფეროვანია და ფუნქციურად შერწყმულია თემატურ ერთეულებთან. ისინი სრულად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც ტექნიკური უნარების (პროგრამირება, პრეზენტაცია, ცხრილები), ისე შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნების განვითარებას. რესურსები მორგებულია ასაკობრივ დონესა და უნარების მრავალფეროვნებას. **რჩევა** - უცხოენოვანი რესურსების გამოყენებისას გაითვალისწინეთ მოსწავლეთა სხვადასხვა უცხოენის ცოდნის დონე. საჭიროების შემთხვევაში მიაწოდეთ შესაბამისი ქართული თარგმანი ან სრულყოფილი ქართულენოვანი ალტერნატივები, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს მასალის სრულფასოვანი გაგება და დამოუკიდებლად მუშაობა. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაცია მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებაზე. **2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოდგინა VIII და XI კლასის მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სამივე საბუნებისმეტყველო საგანში, სადაც ჩანს დავალებების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს კი ნათლად ისაუბრეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებზე. აღწერეს აქტივობები. ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომას, რაც წარმოდგენილია ადაპტირებული სასწავლო კურიკულუმით, რომელიც ემიზნება მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგები წინა წლის გათვალიწინებით მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო კურიკულუმებს, რაც იძლება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინგლისური ენის მე-6 კლასის მასწალებლის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისევე როგორც მასწავლებელთა ინტერვიუირებისას გაშუქებული საკითხები, გვიქმნის წარმოდგენას, რომ კათედრის მიერ მართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი ინდ გეგმები და მასწავლებლებთან გასაუბრება მოცემულ საკითხზე (თუ როგორ გარდაქმნიან და არგებენ მოსწავლის საჭიროებებს/უნარებს დავალებებს) ცხადყოფს,რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება,

	რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლაში ხდება დავალებების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ დაწყებით საფეხურის კურიკულუმისა და მასალებში გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები, რაც გამოხატულია დიფერენცირებულ დავალებებსა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების შეთავაზებაში. ყოველი თემატური ბლოკი უზრუნველყოფს მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლებას, აქტიურ ჩართულობას, მოტივაციასა და პროგრესს. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებით საფეხურის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის, **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვთ მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გულისხმობს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზის ნიმუშები საგნების მიხედვით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების დამატებით ფორმებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში, სამივე საფეხურზე, შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი რუბრიკები, რომლებიც აგებულია ცნებების მიხედვით და მინიჭებული აქვს ქულობრივი შეფასება. ამასთან ერთად მასწავლებელებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და გაცნობილი დოკუმენტების შესწავლს საფუძველზე გამოვლინდა, რომ კათედრა მუშაობს განმავითარებელი შეფასების მიმართულებითაც. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა გრძელვადიან სასწავლო მიზანსა და წარმოდგენილია ცნებებთან მიმართებით. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თითოეული საგნის ჭრილში სამივე საფეხურისთვის. აღნიშნული რუბრიკებით ვლინდება, რომ უცხოური ენების მასწავლებელთა მიერ მართული შეფასების სისტემა ეფუძნება ოთხივე უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული) საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ შეფასების ინდიკატორებს. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და განმავითარებელი შეფასების ნიმუშებიდან ჩანს,რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** სასურველა, მუსიკასა და ხელოვნებაში განმსაზღვრელი შეფასები უფრო მეტად დაიხვეწოს

	და მათში მკაიფიოდ გამოჩნდეს კონკრეტული ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისი მიზნებით (დაკავშირება, შეფასება, გაანალიზება და ასე შემდეგ) იქნება წარმოდგენილი. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების ბარათები ყველა კლასისთვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმებით. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის სწავლებისას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვთ მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გულისხმობს. სკოლის ხედვით, განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა, მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას, რომელიც სრულად შეესაბამება ესგ-ს პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ფოკუსირებულია პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებასა და სასწავლო შედეგების ობიექტურ გაზომვას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა მთლიანობაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნება/ქვეცნება, ძირითადი საკითხი თანხვედრაში მოდიოდეს კურიკულუმის ჩარჩო -

	ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან, ძირითად საკითხთან (ერთი და იგივე კონტექსტ - მაგალითის შემთხვევაში), ამავდროულად, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაწერილი იყოს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილების მიხედვით დაგეგმილი ყველა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების მიმართ. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- ი.ს.გ
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი სისტემის ამსახველი შეფასების რუბრიკები .
- საგნობრივი კურიკულუმები.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგემა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სწავლის პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილ სამივე საფეხ~~ურ~~ურის კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო მიზნების, რესურსების, მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის გათვალისწინებით. სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისა და მოსწავლეთა ნაშრომებისა და დიაგნოსტირების საფუძველზე საჭიროებისამებრ მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო კურიკულუმს, რაც შემდეგში იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. სკოლა აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა ჩართულობისა და მათი მოტივაციისთვის. კათედრა აქტიურად ანხორციელებს სხვადასხვა პროექტებსა და იყენებს შემოქმედებითი დავალებებით სწავლების მიდგომას. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი, სამივე საფეხურზე, შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. დაგეგმვისას გათვალისწინებულია კურიკულუმში განსაზღვრული მიზნები, სასწავლო

	თემები და საკითხები, რაც უზრუნველყოფს სწავლების სისტემურობას. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სწავლის პროცესი, სამივე საფეხურზე, წარიმართა წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო მიზნების,რესურსების,შემოქმედებითი ტიპის დავალებების,მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი, სამივე საფეხურზე, ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **2.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი, სამივე საფეხურზე, წარიმართა სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრის წევრები ინდივიდუალურად მუშაობენ კლასებთან კურიკულუმში გაზიარებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად. მათ მიერ შუალედურ მიზნებზე მუშაობისათვის დათმობილი საათები არაერთგვაროვანია და ცვლილებას განიცდის საფეხურის, მოსწავლეთა აკადემიური საჭიროებებისა და შეთავაზებული აქტივობების მიზნების შესაბამისად. **2..2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს მკაფიო და სტრუქტურირებულ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, სწავლის პროცესში ჩასატარებელ აქტივობებს, გამოყენებად რესურსებსა და შეფასების მექანიზმებს. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ და მიზნობრივ ორგანიზებას, რაც სრულად შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

	2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რევიზიით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესს. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალსიწინებს ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც გულიხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ამისთვის სკოლა საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ გეგმას, ქმნის ისგ ჯგუფს. სასკოლო გეგმა ასევე განსაზღვრავს საჭიროების შემთხვევაში შინ სწავლებაზე გადაყვანის წესებს. სკოლას აქვს მოქნილი მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. რომელიმე მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ხდება სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება. განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში ახალი კადრის შერჩევის წესი და არსებული კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სამივე საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და იძლევა მათი საჭიროებების მიხედვით ცვლილების საშუალებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას, სამივე საფეხურისთვის შექმნილი აქვს შეფასების სისტემა, რომელიც დააფუძნებულია სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა საკლასო პრეზენტაციებს, ჩართულობასა და კვლევით უნარებს. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები გამჭვირვალეა — მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები და აქვთ არჩევანის უფლება. ვალიდურია, რადგან როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებს. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების, კათედრის სხდომების ოქმების, შეფასების რუბრიკების, ურთიერთშეფასების, თვითშეფასებისა და სხვა დოკუმენტაციის გაცნობისას და მასწავლებელთა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს შეფასების სისტემის დახვეწასა და განვითარებაზე. კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა საშუალებას სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების სისტემა და რუბრიკები მოსწავლეებისთვის ხელმისწავდომია. ამასთან ერთად გამოვლინდა, რომ შეფასების სისტემის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებისთვის პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში შემოქმდებით პროდუქტთან მიმართებით ქმნიან განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს. **რჩევა : სასურველია უფრო მეტად დაიხვეწოს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები და მათში მკაიფიოდ იყოს ასახული კონკრეტული ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისი მიზნებით (დაკავშირება, შეფასება, გაანალიზება და ასე შემდეგ) იქნება წარმოდგენილი.** **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა საკლასო პრეზენტაციებს, ჩართულობასა და ენობრივ უნარებს. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები გამჭვირვალეა — მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა შეფასების კრიტერიუმებზე და იციან, რა მოთხოვნების შესაბამისად ფასდებიან. რაც შეეხება ვალიდურობას, სკოლის მიერ წამორდგენილ დოკუმენტებში მჭიდრო კორელაცა განავითაროს და გააუმჯობესოს შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში, რათა ისინი ზუსტად შეესაბამებოდეს უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების პროცესის მიზნობრიობასა და სისწორეს. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი შეფასების ნიმუშები და რუბრიკები უმეტესწილად შეესაბამება ესგ მიზნებს, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **2.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა, სამივე საფეხურზე, არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის

	მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების. სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომლებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	პედაგოგების მიერ შექმნილი შეფასების სისტემა, სამივე საფეხურზე არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლაში გამოიყენება განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები - ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტურია. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმი და შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ განმავითარებელ და განმსაზღვრელ რუბრიკებსა და კრიტერიუმებს, უზრუნველყოფს შეფასების სიზუსტესა და ობიექტურობას. ეს სისტემა იმ უნარებისა და კომპეტენციების შეფასებას ემსახურება, რომლებიც კურიკულუმით არის განსაზღვრული. შეფასების კრიტერიუმების არსებობა უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას, მათი თანმიმდევრული გამოყენება კი განაპირობებს სამართლიან და დასაბუთებულ შეფასებას. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურის შეფასების სისტემის რევიზიით დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს, დაგეგმვასა და განხორციელებას, ვერიფიკაციის სიხშირეს და პერიოდს, ვერიფიკაციის შედეგების დოკუმენტირების ფორმას-ანგარიშის მომზადება და ვერიფიკაციის შედეგების განზოგადოების წესს. შემუშავებული წესით სკოლა აცხადებს მზაობას, მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განხორციელდეს დადგენილი რეგულაციების მიხედვით.
ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურირკულუმები მოიცავს ინფორმაციას შეფასებასთან დაკავშირებული შენახვის ვადების შესახებ. კერძო, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2024-2025წ.სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის დირექტორის მ/ შ N 2-33 ბრძანება -ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა, სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესში იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ელექტრო რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს, მოსწავლეთა მიერ შექმნილ თვალსაჩინოებებს,

	ტაბულებს, საპრეზენტაციო მასალებს. კურიკულუმში ჰიპერბმულებით ჩაშენებული აქვთ ვიდეო მასალები. აქვთ მომქმედი ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ექსპერიმენტზე უსაფრთხო მუშაობა ყველა საბუნებისმეტყველო საგანში. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული და დამატებითი დამხმარე რესურსების გამოყენებას. კურიკულუმში წარმოდგენილია დამატებითი რესურსების (ვიდეო/ფოტო/აუდიო) მასალა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა აღჭურვილია უცხოური ენის სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსებით (კომპიუტერი, მოსასმენი აუდიო რესურსები, პროექტორი, გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები და პროექტორი),რაც იძლევა საშუალებას მიღწეული იქნას უცხოური ენების სტანდარტებით განსაზღვრული მიზნები. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამევე საფეხურზე სასწავლო პროცესის ძირითად რესურსს გრიფირებული სახელძღვანელოები და სამუშაო რვეულები წარმოადგენს. ასევე აქტიურად იყენებენ დამხმარე ვიდეო-აუდიო მასალას,თვალსაჩინოებებს. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა, სასწავლო პროცესში, სამივე საფეხურზე იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, ელექტრო რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს, მოსწავლეთა მიერ

	შექმნილ თვალსაჩინოებებს, საპრეზენტაციო მასალებს. კურიკულუმში გაწერილი აქვთ ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ჰიპერბმულებით ჩაშენებული აქვთ ვიდეო მასალები. 2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს და გათვლილია მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობაზე. რესურსები ორიენტირებულია პრაქტიკულ გამოყენებაზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ელ.რესურსების გამოყენება ნათლად აისახება როგორც კურიკულუმში, ასევე პედაგოგთან გასაუბრების შედეგადაც დასტურდება, რომ ისინი აქტიურად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურის კურიკულუმის რევიზიით დგინდება, რომ საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სასწავლო პროცესში ძირითად სახელმძღვანელოგ განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა, სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, ყველა რესურსი შესაბამება სასწავლო თემებს/საკითხებს, მასწავლებლების მიერ საბუნებისმეტყველო საგნების კათედრაზეა შეთანხმებული და ესგ მიემართება. იგეგმება და ხორციელდება რესურსების მონიტორინგი. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს დამხამრე რესურსების მობილიზება და მათი გამოყენება, ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სკოლის საკუთრებაში არსებული დამხარე სასწავლო რესურსების შევსება სისტემატურად ხორცილედება, რაც პირდაპირ ბმაშია სასკოლო კურიკულუმის შედეგებთან. სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული მიმართულებით აქტიურად გამოიყენება ელექტრონული პლათფორმები. ასევე სკოლაში სასწავლო დამატებითი რესურსების სახით გამოიყენება პედაგოგების/მოსწავლეების მიერ შექმნილი შემოქმედებითი ტიპის პროდუქტები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენის მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას თქვეს, რომ ისინი კათედრის სხდომაზე სასწავლო წლის დასაწყისში ახდენენ სასწავლო დამატებითი რესურსის ვალიდაცია. კათედრის მიერ წარმოდგენილ ოქმში (დათარიღებული 10.09.24 წ.) ნახსენებია, რომ ერთ-ერთ დღის წერიგად შეხვედრაზე განსახილვევლად გაჰქონდათ- “ 1. საგნობრივი კურიკულუმის (კომპლექსური დავალებები) დაზუსტება” -რომელშიც შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოიაზრებდნენ ასევე დამატებითი რესურსების (დაგეგმილი კომპლექსური დავლებების ფარგლებში გმოსაყენებელის) ვალიდაციას. **რჩევა:_სასურველია სკოლის უცხოური ენების კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრის სხდომაზე ცალკე საკითხად გაიტანოს და კათედრის წევრებისა თუ დირეექციის წარმომადგენლების ჩართულობით, მოახდინოს სასწავლო დამატებითი რესურსების ვალიდაცია.** **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას,ყველა დამხმარე რესურსი შესსაბამება სასწავლო თემებს/საკითხებს, მასწავლებლების მიერ კათედრაზეა შეთანხმებული და ესგ მიემართება. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, რესურსები ლოგიკურადაა შერჩეული და მიმართებაშია თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებთან, ასევე მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების სანდოობას , რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის სხდომებზე. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურის კათედრის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლაში ხდება დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია, რას ასევე დადასტურდა დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს კათედრებს მატერიალური რესურსებით, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიები აღჭურვილი სათანადო ინვენტარით. ლაბორატორიები უზრუნველყოფილი ინტერნეტით და კომპიუტერული ტექნიკით,

	პროექტორი **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სწვლება ხორციელდება შესაბამის საკლასო ოთახში, რომელიც აღჭურვილია ყველა იმ სახის მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სკოლა უზურნველყოფილია ინტერნეტით, კომპიუტერებით, პროექტორით და სხვა მსგავსი ტიპის რესურსით. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების სწავლება ხორციელდება შესაბამის საკლასო ოთახში, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით და კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით. სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი მატერალური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად და ეფექტიანად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **2.2.2. 3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს შესაბამისი მატერიალური/არამატერიალური რესურსით. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს ხელოვნების ოთახი, რომელი აღჭურვილია შესაბამისი მატერილური და ციფრული რესურსებით. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს, რაც დასტურდება გადმოგზავნილი დოკუმენტაციითაც. სახელმწიფო ენის საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს შესაბამის კაბინეტში, სადაც ციფრულ და მატერიალურ რესურსებთან ერთად წარმოდგენილია განხორციელებული პროექტები და შესრულებული კომპლექსური დავალებები. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს კათედრებს მოსწავლეების საჭიროებაზე მორგებული მატერიალური რესურსებით, ითვალისწინებს მოსწავლეთა

	ზღვრულ რაოდენობას. მათემატიკის სწავლება მიმდინარეობს შესაბამის კაბინეტში, რომელიც აღჭურვილია ციფრულ და მატერიალურ მიზნობრივი თვალსაჩინოებებით. მათემატიკის კაბინეტში წარმოდგენილია განხორციელებული პროექტები და შესრულებული კომპლექსური დავალებები. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს და გარე სივრცეში განთავსებულ სპორტულ მოედანს. ასევე სპორტის გაკვეთილების თეორიული მასალის სწავლებლისათვის განსაზღვრულია ცალკე საკლასო ოთახი **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლის შენობა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლაში არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსი. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის რაოდენობის მერხებით და სკამები, საკლასო ოთახებში გამოკრულია მიზნობრივი თვალსაჩინოებები, საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია მუსიკალური ინსტრუმენტით (პიანინო) . სადამრიგებლო საათზე აქტიურად გამოიყენება სკოლის ბიბლიოთეკა. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულია 52 მასწავლებელი. მათშორის უფროსი-35; წამყვანი-13, მაძიებელი -1, და 3 სპეციალური მასწავლებელი. მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლას ასევე ყავს სამი სპეც. მასწავლებლის ასისტენტი და მეტყველების თერაპევტი. აღნიშნულიდან გამომდინარე

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა პირადი საქმეები
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები
- მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, იმის აღწერა თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი), აგრეთვე, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სასკოლო კურკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი სამი მიმართულებთ: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარებისთვის). სასურველია მეთოდოლოგიური დოკუმენტი დეტალურად მოიცავდეს კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურებს, კერძოდ ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

სკოლამ წარმოდგინა სასწავლო პროცესის შეფასების ფორმები: ურთიერთშეფასება, თვითშფასება და დირექტორის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება. საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ეროვნული სასსწავლო გეგმის მოთხოვნებს კერძოდ, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპის განთვალსიწინებით. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ განივითარონ გლობალური და ფუნქციური უნარები და სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ჰოლისტური მხარდაჭრა. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოდეგინა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების მასალები: შემაჯამებლების ანალიზი კლასებისა და საფეხურების მიხედვით, დაწყებით საფეხურზე დიაგნოსტიკური წერების და განხორციელებული კომპლექსური დავლების რეფლექსიები. წარმოდგენილ მასალებში საუბარია როგორ მიმდინარეობდა კურიკულუმის განხორციელების პროცესი, იყო თუ არა სირთულე და დასჭირდათ თუ არა საგნობრივი კურიკულუმების მოდიფიცირება. სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგდოების აზრის კვლევას, წარმოდგენილია მშობლის კითხვარი, სადაც ჩანს სკოლის ინტერესი გაიგოს მშობლის აზრი სასწავლო პროცესის შესახებ, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარის შესახებ.

რჩევა: კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას და რა ინსტრუმენტები გამოიყენება მონიტორინგის და შეფასების პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკაყოფილებულია

2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით. სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი გაზრდის და გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს. კათედრების მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. ვინაიდან სასკოლო საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, ამიტომ დაგეგმილია კურიკულუმების გადახედვა, თუ რამდენადაა შესაბამისობაში ესგ-სთან, რამდენად არის მასში ასახული მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობები რამდენად იძლევა ესგ-ს შედეგებზე გასვლის საშუალებას, აძლევს თუ არა განმავითარებელი შეფასება მოსწავლესა და მასწავლებელს საშუალებას გაანალიზოს სწავლის შედეგების პროგრესი. რამდენად უწყობს შეფასების რუბრიკები ხელს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ხოლო მოსწავლეს - დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. მასწავლებლებს გათვითცნობიერებული აქვთ რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდნენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია მის შემუშავებაში მონაწილე პირების ფუნქციები, რაც მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების განმარტებებს. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და კათედრების ხელმძღვანელების მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, ითვალისწინებენ კათედრის წევრთა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. ასევე დამრიგებლები სადმრიგებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებით აკვირდებიან მოსწავლეებს და გამოკვეთენ მათ ინტერესების სფეროს, ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ, რაც შემდგომ გათვალსიწინებული იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2024-2025წ.სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“,
- სასწავლო პროცესის შეფასების ფორმები: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და დირექტორის შეფასება
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- სადიაგნოსტიკო წერების რეფლექსია
- კომპლექსური დავალების რფლექსია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის შეფასება. კერძოდ, სკოლაში შექმნილია ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფი, ხდება გაკვეთილებზე დაკვირვება და შეფასება, როგორც დამკვირვებლის მიერ ასევე მასწავლებლიც აკეთებს თვითშეფასება. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოადგენს მტკიცებას იმისა, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკებს. სამივე საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერ განმავითარებელი კომენტარი. აგრეთვე დაწყებით საფეხურზე, წლის ბოლოს წერილობითი ფორმით აფასებენ თითოეულ მოსწავლეს, რომელშიც საუბარია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოჩენაზე, მიღწევებზე და რეკომენდაციებზე. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლა სამივე საფეხურზე მიმართავს ცნებებზე ორიენტირებული განმსაზრვრელი და განმავითარებელი რუბრიკების გამოყენებას. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ხდება ინფორემაციას შეგროვება მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური ფაქტორების შესახებ. წარმოდგენილია მშობლებისათვის სპეციალური კითხვარი, რისი მიზანიცაა მიღებული ინფორმაციის გათვალისწინება სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუთი, სასკოლო სივრცეში გამოფენილი მრავალფეროვანი პროექტებით და შემოქმედებითი პროდუქტებით დგინდება , რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, მოსწავლე რამდენადაა ჩართული სასწავლების პროცესში, დისკუსიაში, ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაში პრეზენტაციის წარმართვისას. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად მონაწილეობს მოსწავლე არაფორმალურ აქტივობებში, კლუბურ მუშაობაში, სასკოლო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში და სკოლაში მიმდენარე სხვადასხვა პროცესებში. მრავალი კონტექსტით შეფასება საშულებას იძლევა შეფასდეს რამდენად ეფექტურია სასწავლო პროცესში დაგეგმილი აქტივობები.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, უკუკავშირი, განმავითარებელი კომენტარი, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელისანალიზი და სადიაგნოსტიკო წერების რეფლექსიები). შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, ცნობილი ხდება მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრი სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელებას.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების ფორმებით, რეფლექსიებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზებით დაგინდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადსხვა ფაქტორის გათვალსიინებით. კერძოდ, ფასდება აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. ფასდება საგაკვეთილო პროცესი რამდენადაა ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე, ცოდნის სამივე კატეგორიაზე, ინდივიდუალურ მიდგომებზე, რამდენად ეფექტურია გამოყენებული რესურსები და სხვა. შეფასების პროცესში მრავალი ფაქტორის გათვალისწინება მნიშვნელოვანია სასწავლო გარემოს ჰოლისტური შეფასებისთვის.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

- სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2024-2025წ.სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასწავლო პროცესის შეფასების ფორმები: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და დირექტორის შეფასება
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- სადიაგნოსტიკო წერების რეფლექსია
- კომპლექსური დავალების რფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

პედაგოგთა ინტერვიურების პროცესიდან და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გათვალიწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გადახედვა, მისი გადასინჯვა განხორციელდება საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება გადამუშავება. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე პედაგოგოებთან საუბრისას მკაფიოდ იკვეთება, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს. საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საგნობრივი მიმართულების კათედრის წევრი პედაგოგოები მუდმივად განახორციელებენ კურიკულუმების გადახედვის პროცესს. გაზირება ჯერ კათედრების დონეზე მოხდება, შემდეგ სკოლის დონეზე იგეგმება. საგნობრივი მიმართულების კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და უზრუნველყოფენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მონაცემების ასახვას.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 18.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი -------

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, ---

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, --- 

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი --

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი ---

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი ---

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, --

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი --

სპორტის საგნობრივი ექსპერტი--

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი -